# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 28 მაისი 2003 №96 (1867) | ფასი 50 თეთრი


UEFA CHAMPIONS LEAGUE

# წმინდა იტალიური წმინდა ინგლისურზე
## შავი და თეთრი თუ შავი და წითელი?






REUTERS მანჩესტერიდან

დღეს მანჩესტერში ჩემპიონთა ლიგის ფინალია, წმინდა იტალიური ფინალი, რაც თასის დაარსებიდან დღემდე არასდროს მომხდარა. არც ის მომხდარა, რომ „მილანი“ და „იუვენტუსი“ ოდესმე გადაჰყროდნენ ერთმანეთს იტალიის მიღმა. თორემ დასაბამიდან ისინი 161-ჯერ შეჯახებიან. ანუ ეს მათი 162-ე ურთიერთშეხვედრაა — ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანიც.

აბა, წინასწარ როგორ ვთქვათ, ვინ მოიგებს თასს, მაგრამ ფინალით პირველ მოგებულებზე ახლავე შეგვიძლია ვთქვათ. ისინი მანჩესტერელი მენაყინეები არიან, რომლებიც ტურისტებს შავწითლად და შავ-თეთრად შეღებილ ნაყინს სთავაზობენ. ტურისტები კი, მიხვდებოდით, იტალიელები არიან, სულ 50 ათასი კაცი, რომლებიც მეორე დღეა, ქალაქს შესევიან.

და ფეხბურთელები. მანჩესტერშია ჩემპიონთა თასის სამჯერ მომგები, „მილანის“ ბებერი კაპიტანი პაოლო მალდინი. იქაა კლარენს ზეედორფი, ვისაც აქამდე ორ სხვადასხვა გუნდთან მოუგია ლიგა, და იქვეა კალაძეც — პირველი ქართველი ჩემპიონთა ლიგაში, ვინაც ევებ ლიგის მომგებ პირველ ქართველადაც იქცეს.

იხილეთ მეხუთე-მეექვსე-მეშვიდე გვერდები

საქართველოს 12 ჩემპიონატი

# ფინალის ფინალი: მეხუთე სანახაობა



გურამ [illegible] ფოტო

„ბასკოს“ მეთაური ნუგზარ კანდელაკი

მე-12 ეროვნულ ჩემპიონატის ფინალში საქმე ფინალურ შეხლამდე მივიდა. გუშინ „დინამომ“ ბათუმში 87:79 დაამარცხა იქაური „ბასკო“, სერიის ანგარიში გაათანაბრა და ფინალი ზღვისპირა პროვინციიდან დედაქალაქში დააბრუნა — გადამწყვეტ, მეხუთე შერკინებას 30 მაისს სპორტის სასახლე უმასპინძლებს.

ფინალისტებს საკმარისი დრო აქვთ ბათუმური ბატალიების შემდეგ დასასვენებლად, მომხდარის გონებაში გამოსავლებად და ბოლო თამაშისთვის მოსამზადებლად. ვის უკეთ გაუჯდება თავში დამრიგებლის შეგონება და ვინ მეტოქეზე ნათელი თავით შევა მოედანზე, ამაზე ახლა მარჩიელობა ტვინის ფუჭი ჭყლეტაა. სადღეისოდ ვერც ფავორიტს ვიტყვით — „ბასკოსაც“ და „დინამოსაც“ ერთი თამაშის მოგების თანაბარი შანსი აქვთ. იმას თუ შევნიშნავთ, რომ ფინალისტებმა ამოწურეს შეცდომების ლიმიტი და მთელი სეზონის ნამუშევარი ამ ერთ თამაშამდე დააკომპაქტეს, რომელშიც, იმედია, ბევრი აცილებული და ჩაგდებული ბურთის გარდა ნაღდ სპორტულ ბრძოლასაც ვიხილავთ.

იხილეთ მეცამეტე გვერდი



გურამ [illegible] ფოტო

„დინამოს“ ხორვატი ანუ მწვრთნელი დრაჟენ ბრაიკოვიჩი



სანამ რკინიგზულ კლუბში ვითარება დაძაბულია და მტყუან-მართალი არ გარკვეულა, მანამ „ლოკომოტივი" მეთოთხმეტე ჩემპიონატის ბოლო ტურისთვის ემზადება. ლუის ცაკარიასის გუნდს ქუთაისში უძნელესი 90 წუთი ელის. რიონისპირა ქალაქში დღეს ყველა ქომაგს სჯერა, რომ „ლოკომოტივმა" „დინამოს" თამაში შეგნებულად დაუთმო და ამით მათ საყვარელ „ტორპედოს" საჩემპიონო შანსი ხელიდან წაჰგლიჯა. ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა „ჯოჯოხეთს" მოუწყობენ ქუთაისში რკინიგზელებს

# ლუის ცაკარიასი: ქუთაისში სუფთა სინდისით მივდივარ

## ვის მიანდობენ დაშლილი რკინიგზის აწყობას?

**ზემოთ** „ლოკომოტივის" მზადება ვახსენეთ, მაგრამ ვაი, ასეთ მზადებას. სადღეისოდ ცაკარიასის განკარგულებაში შვიდი ჯანმრთელი ფეხბურთელია. განელი ნანა, რომელიც სავარაუდოდ მაისის ბოლოს აქაურობას გაეცლება, ფეხს იტკივებს. მურთაზ ბურნაძეს ბარძაყის კუნთი აქვს დაჭიმული, ხოლო ვლადიმერ კაკაშვილი ადრიან გაზაფხულზე გაწყვეტილ კუნის დღემდე მკურნალობს.

გუშინდელ წვრთნაზე ცაკარიასს 11 ფეხბურთელი ჰყავდა. გიორგი ლომაია, ლაშა სალუქვაძე, როინ და გიორგი ონიანები, რომან გოგინაშვილი, დავით სირაძე, რაიან სალასარი, დიეგო ნალვარტე და მიხეილ სოსელია. ამათ გასინჯვაზე მყოფი ორი ახალგაზრდა, სირბილაძე და ოგბაიძე დაემატნენ და საათნახევრიანი ვარჯიშიც შედგა.

სირბილაძეს, ოგბაიძესა და ნალვარტეს ცაკარიასი ქუთაისში ვერ ათამაშებს, ესენი „ლოკომოტივის" განაცხადში არ ირიცხებიან. სოსელია ჯერაც შეიძლება ხიაშია და ვეჭვობთ, ქუთაისში გამგზავრის. დავით სირაძე „დინამოსთან" სკანდალურ თამაშში მეხუთე გაფრთხილება აიღლა და ქუთაისში მიმავალ თანაგუნდელებს ძალაუნებურად ჩამორჩა.

ცაკარიასს მხოლოდ ერთი საშველი უჩანს, ლომაიას, სალუქვაძეს, გოგინაშვილს, სალასარსა და ონიანებს ფარმ-კლუბის ხუთი ფეხბურთელიც მიამატოს და „ტორპედოს" 11 კაცის ანაბარა ეწვიოს.

ქუთაისში „ლოკომოტივი" წასაგებად განწირულია. კლუბში აწეწილ ვითარებას და გულგატეხილობას სამარქაფოების გარეშე დასავლეთ საქართველოში თამაშის დღეს გამგზავრება დაუმატეთ და მიხვდებით, რა შანსი აქვს ცაკარიასის გუნდს მათლამი მტრულად განწყობილ რიონისპირა ქალაქში.

ვარჯიშის დასრულების შემდეგ პერუელ მწვრთნელს ინტერვიუ ვთხოვეთ. სხვას ვერაფერს დავიჩემებთ, მაგრამ ცაკარიასს ჟურნალისტებთან ურთიერთობა უშლებაო რომ ვთქვათ, ნამდვილად არ ვიქნებით მართლები. ინტერვიუზე უსიტყვოდ დაგვთანხმდა რკინიგზელთა თავკაცი.

— „ლოკომოტივის" პრეზიდენტი აკაკი ჩხაიძე დარწმუნებულია, რომ თქვენმა შეგირდებმა „დინამოს" თამაში შეგნებულად დაუთმეს. ცხადია, მწვრთნელის კომენტარიც ძალიან საინტერესოა. თქვენ კლუბის თავკაცის ვერსიას ემხრობით თუ ფეხბურთელების მხარეს დაიჭერთ?

— მას აქეთ, რაც საქართველოში ვიმყოფები, ხშირად მომისმენია, რომ აქ თამაშების ჩაწყობა და მსაჯების მოსყიდვა ჩვეულებრივი ამბავია, თუმც არც ერთ კონკრეტულ შემთხვევასთან მე შეხება არ მქონია. ფაქტის გარეშე კი ცილს ვერავის დავწამებ. მერწმუნეთ, „დინამოსთან" მატჩშიც თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, ჩემამდე არანაირი საეჭვო ლაპარაკი არ მოსულა, თორემ ყველა ღონეს მივმართავდი, რათა გაუგებრობები თავიდან ამეცილებინა.

გუნდიდან გაშვებულ ფეხბურთელებზეც გული დამწყდა. შეიძლება ისინი ვარსკვლავები არ იყვნენ, მაგრამ ეროვნულ ჩემპიონატში მათ კარგი დონის მოთამაშეები ეთქმოდათ. მაგალითისთვის ზაზა ლაცაბიძეს დავასახელებ, ის პატიოსანი და ალალი კაცია, ჩემს მითითებებს უსიტყვოდ ასრულებდა და არც არაპროფესიონალიზმში გამომიჭერია ოდესმე. გივი კვარაცხელია ხომ საერთოდ „ლოკომოტივის" მამოძრავებელი ძალა იყო. მას გაცილებით მაღალ დონეზე თამაში შეუძლია და უმისობა ჩვენთვის დიდი დანაკლისიც იქნება.

— ქუთაისში სჯერათ, რომ „ტორპედომ" ჩემპიონობა „ლოკომოტივის" უღირსი საქციელის გამო დაკარგა. თქვენ და თქვენი გუნდი მზად ხართ, რიონისპირელების ფსიქოლოგიურ წნეხს გაუძლოთ?

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე არანაირ გარიგებაში მონაწილეობა არ მიმიღია და მსგავსიც არასდროს მიკადრებია. თუ მე დავბრმავდი და დავყრუვდი, ჩემს ირგვლივ ასეთი ამბავი ტრიალებდა და გამომრჩა, კლუბის ხელმძღვანელობამ კი თავისი სიმართლე დაამტკიცა, მაშინ თავს მოტყუებულ ადამიანად ჩავთვლი და იმ ბიჭებსაც, რომლებიც გუნდიდან დაითხოვეს, ვერასოდეს ვაპატიებ. ამიტომაც მივდივარ ქუთაისში სუფთა სინდისით, „ტორპედოს" წინაშე არანაირი ცოდვა არ მიმძღვის და არც იქაურ ქომაგებს ვუფრთხი.

— გაახალგაზრდავებულ „ლოკომოტივში", რომელსაც, თუ კლუბის თავკაცების ნათქვამს ვერწმუნებით, ორი-სამი წლის განმავლობაში მაღალი მიზნები არც ექნება, თქვენი თავი როგორ წარმოგიდგენიათ?

— გუნდის გაახალგაზრდავება აკაკი ჩხაიძის იდეა იყო, რაც ნაწილობრივ განვახორციელეთ კიდეც და ვცადეთ, ასე მიგვეღო შედეგი, მაგრამ წლეულს ეს არ გამოგვივიდა. ცვლილებები კიდევ არის მოსალოდნელი, მაგრამ თავად მე ჯერაც არ ვიცი, იმ დროისთვის ვიქნები თუ არა „ლოკომოტივის" მწვრთნელი. კლუბთან ჩემი კონტრაქტი 30 ივნისს იწურება, ფეხბურთი და მწვრთნელობა კი ისეთი რამეა, რომ წინასწარ ვერაფერს დაგეგმავ. მოვიცადოთ ჩემპიონატის ბოლომდე, როცა ყველაფრის ცივი გონებით განსჯა გახდება შესაძლებელი და „ლოკომოტივში" ცაკარიასის მომავალზე მერე ვილაპარაკოთ.

— საქართველოდან გამგზავრებას ხომ არ აპირებთ?

— სრულებითაც არა. მე აქ თავს კარგად ვგრძნობ. სერიოზული პრობლემაც თითქმის არ მქონია. ნორმალური და საქმიანი ურთიერთობები მაკავშირებს როგორც კლუბის ხელმძღვანელებთან, ასევე ფეხბურთელებთან. არა მგონია, ჟურნალისტები მეძღუროდეთ, ჩვენს შორის ხომ გაუგებრობა არასდროს მომხდარა.

საქართველო ლამაზი ქვეყანაა, სადაც ბევრია ნიჭიერი ფეხბურთელი. მართალია, ყველაფერი რიგზე ვერ გაქვთ, თქვენში ბევრს უჭირს, მაგრამ აქ სახელმწიფო ახლა ყალიბდება და მჯერა, ბევრი რამ მალე გამოსწორდება.

ლუის ცაკარიასისთვის ბოლო შეკითხვით იმიტომ კი არ მიგვიმართავს, ჩვენი ქვეყნის სიყვარულში რომ დავერწმუნებინეთ. უბრალოდ, როგორც ყველგან, საფეხბურთო საქართველოც ძალიან ჭრელია. აქ ჭორ-მართალი ერთმანეთში ისეა გადაზელილი, რომ სიმართლის დადგენა ჭირს.

„ლოკომოტივში" სამომავლისეზონოდ ისეთი ახალგაზრდული გუნდის შექმნა სწადიათ, რომელსაც ორი-სამი წელიწადი დიდი მიზნები არ ექნება. ლუის ცაკარიასი კი ქართველი მწვრთნელის საფასურად საქართველოში არ დარჩება, არც რკინიგზელ ხელმძღვანელებს ულირთ ტყუილუბრალო ხარჯი, ამიტომ პერუელთან დამშვიდობებას და მის ადგილზე ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის რევაზ არველაძის დანიშვნას აპირებენო. თუ რევაზ არველაძე „ლოკომოტივში" დანიშნეს, მაშინ გვერდს მისი გუნდის წევრებიც დაუმშვენებენ — გოჩა ტყებუჩავა და ნიკა ჩხეიძე. რკინიგზულ კლუბში ჩხეიძის მიღებაზე ადრეც ილაპარაკეს და ნიკამაც ერთი ვარჯიში ჩაუტარა ლომაიას და ივარდავას, მერე კი ვაკურ სარბიელზე არ გამოჩენილა. რაც შეეხება არველაძის გუნდის და „ლოკომოტივის" თანამშრომლობას, ჭორია თუ მართალი, მალე გამომზეურდება.

**მამუკა ძმანტალიანი**



„ლოკომოტივს" „ტორპედოსთან" მატჩში ვერც დამაგრებული მურთაზ ბურნაძე დაეხმარება

**შვედეთი**

VIII ტური

გიოტებორგი 5:2 იორგრიტე

ენკიოპინგი 1:2 ჰამარბი

სუნდსვალი 3:1 ლანდსკრონა

**ამხანაგური მატჩი**

შოტლანდია 1:1 ახალი ზელანდია

**ჩეხეთი**

თასის ფინალი

იაბლონეცი 0:1 ტეპლიცე

---

საქართველოს ჩემპიონატი 14 უმაღლესი ლიგა მეორე წრე **29 ტური**

# ფეხბურთმა 10 ათასი მეგრელი და გურული შეკრიბა

## ზუგდიდში და ოზურგეთში დიდი სუფრები გაიშალა



სერგო გაბელაია

**თერთმეტი წელიწადი** ელოდა ოზურგეთი გუშინდელ დღეს. იქაურმა „მერცხალმა" გასულ საუკუნეში დაკარგული სწორედ გუშინ იპოვა და თავისი ქომაგები უზომოდ გაახარა. ოზურგეთელთა თავკაცმა სერგო გაბელაიამ თავისი ადრინდელი მიღწევა გაიმეორა: მისი თავკაცობით უმაღლეს ლიგაში აწ უკვე დავიწყებას მიცემული ავჭალური „მერანი" ადზევებულა, ახლა კი გაბელაიამ „მერცხალი" ჩარიცხა უმაღლესში.

კარგა ხანია, ოზურგეთის „ცენტრალურზე" ამდენი მაყურებელი არ მისულა. თავსხმაში თავისიანების გამარჯვებას ხუთი ათასამდე ქომაგი დაესწრო. „მერცხალმა" ჭაბუკთა ნაკრებს 2:1 მოუგო და ოზურგეთშიც სიხარულის ზღვა დადგა.

ქომაგი ნამატჩევს არსად წასულა, ოზურგეთში კიდევ ერთი მატჩი იყო, თბილისის „დინამოს" ვეტერანები „მერცხალის" დროულებს გაეჯიბრნენ. ხურცილავა, კოპალეიშვილი, ურუშაძე, გოგია, მჭედლიშვილი, კეტაშვილი და სხვები ოზურგეთელმა ტოლებმა და წვიმამ ვერ შეაშინეს. სტუმრებმა 3:1 მოიგეს, რევაზ ჩელებაძემ კი თავისი საფირმო პენალტი გუშინაც ოსტატურად შეასრულა.

მერე ქალაქის ცენტრში დიდი კონცერტი ჩატარდა, ბოლოს კი გაშლილ სუფრასთან აღმოჩნდნენ მოედანზე ვალმოხდილები.

ოზურგეთს სიხარულით არც ზუგდიდი ჩამორჩენია. იქაურმა „ლაზიკამ" ოთხი წლის წინ „ოდიშის" წამხდარი საქმე გამოასწორა და ზუგდიდს უმაღლესი ლიგა და ფეხბურთი დაუბრუნა.

„ლაზიკას" თავკაც ბესიკ შეროზიას ნანტრი გუშინ აუხდა. მის ხელში დაზრდილმა ბიჭებმა უმაღლესის საგზური „გურიას" 3:1 ძლევით გაინაღდეს. მწვრთნელ-ფეხბურთელებმა, რომლებსაც მცირე ხელფასები ეძლეოდათ და პირობებითაც ვერ დაიკვეხნიდნენ, შარშან დაწყებული საქმე შუაგზაზე არ მიატოვეს, ბევრ სიდუხჭირეს გაუძლეს და გუშინ ხუთი ათასი ზუგდიდელი ქომაგი სტადიონზე ხარობდა.

— ხუთი-ექვსი ფეხბურთელის დამატებას ვაპირებ. კანდიდატები შერჩეული გვყავს, ყველა მათგანი ზუგდიდელია და ამჟამად სხვადასხვა გუნდში თამაშობს. დანარჩენებიც აქაურები არიან, სულ 21-22 წლის ბიჭები. ჩვენი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება. ზუგდიდს ერთი გუნდი ნამდვილად ეკუთვნის — გვითხრა გუშინ ბესიკ შეროზიამ, რომელიც გუნდთან და ქომაგებთან ერთად წარმატების აღსანიშნავად ემზადებოდა.

გუშინვე ვლადიმერ გუცაევის „მცხეთამ" გადათამაშებაში მონაწილეობის უფლება დაიბევა და, რა თქმა უნდა, უმაღლესში მოხვედრის შანსიც გაიზარდა. პირველ ლიგას კი „სამტრედია", „ალაზანი" და ხობი დაემშვიდობნენ.

**მამუკა ძმანტალიანი**

**ლაზიკა 3:1 გურია**

**ალაზანი 1:6 სპარტაკი**

**ქობულეთი 3:1 თსუ**

**მერცხალი 2:1 ჭაბუკთა ნაკრები**

**დინამო 2 1:0 ცხინვალი**

**მცხეთა 4:0 სამტრედია**

**ლოკომოტივი 2 0:0 სამგურალი**

**ხობი 1:0 ივერია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაზიკა | 29 | 19 | 7 | 3 | 64:28 | 64 |
| მერცხალი | 29 | 19 | 7 | 3 | 61:27 | 64 |
| მცხეთა | 29 | 17 | 7 | 5 | 49:20 | 58 |
| სამგურალი | 29 | 14 | 8 | 7 | 39:25 | 50 |
| ქობულეთი | 29 | 14 | 5 | 10 | 27:23 | 47 |
| სპარტაკი | 29 | 14 | 4 | 11 | 47:31 | 46 |
| ცხინვალი | 29 | 13 | 6 | 10 | 35:25 | 45 |
| ლოკომოტივი 2 | 29 | 11 | 10 | 8 | 29:22 | 43 |
| დინამო 2 | 29 | 12 | 6 | 11 | 35:29 | 42 |
| ივერია | 29 | 10 | 6 | 13 | 36:38 | 36 |
| თსუ | 29 | 9 | 8 | 12 | 25:33 | 35 |
| ჭაბუკთა ნაკრები | 29 | 9 | 4 | 16 | 38:46 | 31 |
| გურია | 29 | 8 | 7 | 14 | 31:44 | 31 |
| ხობი | 29 | 6 | 5 | 18 | 17:43 | 23 |
| ალაზანი | 29 | 5 | 6 | 18 | 30:74 | 21 |
| სამტრედია | 29 | 3 | 2 | 24 | 24:79 | 11 |

სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91 ტელ: 53-76-82 899 56-18-49

# შუშაკის ფართო ასორტიმენტი
## ხორვატმა მწვრთნელმა რეზერვისტებსაც დაუძახა

**საქართველოს** ნაკრების მწვრთნელმა ივო შუშაკმა გუშინ იმ ფეხბურთელების სია ჩამოწერა, რომელთა გამოძახებასაც 11 ივნისის ირლანდია — საქართველოს შესარჩევი მატჩისთვის აპირებს. მწვრთნელი საბოლოო შემადგენლობას დღეს-ხვალ დაასახელებს. მანამდე კი შუშაკის შეგულებულ 28 ფეხბურთელს გაგაცნობთ, რომელთაგან ალბათ ექვსი სარეზერვოდ დარჩება, 22 კი საირლანდიოდ მოემზადება.

*მეკარეები: გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), დავით გვარამაძე, ირაკლი ზოიძე (ორივე დინამო);*

*მცველები: კახა კალაძე (მილანი, იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი (დანდი, შოტლანდია), ოთარ ხიზანეიშვილი, გიორგი შაშიაშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი (ყველა დინამო);*

*ნახევარმცველები: ლევან ცქიტიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), გიორგი ნემსაძე (დანდი, შოტლანდია), გივი დიდავა (ქოჯაელისპორი, თურქეთი), გიორგი ქინქლაძე (დერბი ქაუნთი, ინგლისი), ალექსანდრე რეხვიაშვილი (ტორპედო-მეტალურგი, რუსეთი), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), ზურაბ მენთეშაშვილი (სპარტაკ-ალანია, რუსეთი), შოთა ბაბუნაშვილი (ტორპედო), დავით სირაძე (ლოკომოტივი), დავით კვირკველია, ლადო ბურდული, ვიტალი დარასელია, ალექსანდრე გოგობერიშვილი (ყველა დინამო);*

*თავდამსხმელები: გიორგი დემეტრაძე (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), შოთა არველაძე (რეინჯერსი, შოტლანდია), ლევან მელქაძე (ვიტ ჯორჯია), რატი ალექსიძე, ლადო ახალაია (ორივე დინამო).*

სავარაუდოდ სარეზერვოებში იქნებიან: მელქაძე, გოგობერიშვილი, ახალაია, ბაბუნაშვილი, მენთეშაშვილი და ზოიძე.

დარჩენები „დინამოს“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე 3 ივნისს შეიკრიბებიან, დუბლინში კი 9-ში გაემგზავრებიან.

**კობა ინასარიძე**



# ცქიტიშვილმა ფრაიბურგი გააგრძელა



**გერმანული** „ფრაიბურგის“ ქართველმა ნახევარმცველმა ლევან ცქიტიშვილმა გუშინწინ კლუბთან კონტრაქტი ერთი წლით გააგრძელა და მომავალ სეზონშიც აწ უკვე პირველბუნდესლიგელ „ფრაიბურგში“ ითამაშებს.

ცქიტიშვილს, რომელიც ბელგიური „რასინგ მეხელენიდან“ „ფრაიბურგს“ 1998 წელს გადაბარგდა, კლუბთან გაფორმებული ძველი კონტრაქტი სწორედ ორი დღის წინ დაუმთავრდა, მაგრამ ჩვენიანი „ფრაიბურგის“ ხელმძღვანელობას დაჰყაბულდა და დარჩენა გადაწყვიტა. ერთი თვის წინ კი ლევანმა გერმანულ „კიკერს“ განუცხადა, „ფრაიბურგს“ ახალი კონტრაქტის პირობებზე ვერ ვუთანხმდები და შესაძლოა, გუნდი დავტოვოო. ცქიტიშვილმა იქვე თბილისის „დინამოც“ ახსენა, გერმანელებთან ხელფასზე თუ ვერ მოვილაპარაკე, „დინამოში“ დავბრუნდებიო. ახლა კი, როგორც ჩანს, „ფრაიბურგი“ და ცქიტიშვილი თანხაზე შეთანხმდნენ და ჩვენიანის გერმანული კარიერაც გაგრძელდება.

ლევანთან ერთად ბუნდესლიგაში გაისად კიდევ ორი ქართველი ითამაშებს — თანაგუნდელი ალექსანდრე იაშვილი და „ფრაიბურგიდან“ „შალკეში“ ახლახან გადასული ლევან კობიაშვილი.

ცქიტიშვილს ბუნდესლიგაში აქამდე 53 მატჩი ჩაუტარებია და ორი გოლი გაუტანია. ვნახოთ, როგორი იქნება მისთვის მომავალი სეზონი.

**კობა ინასარიძე**

# კალაძე ახალგაზრდულშიც ითამაშებს
## ოლიმპიურმა შუშაკს ამისულაშვილი და სირაძე უნდა სთხოვოს

**საირლანდიო სამზადისს** შეუდგა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები — ჩვენი ოცდაერთწლამდელები 10 ივნისს გაეჯიბრებიან ირლანდიელ თანატოლებს. ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელებმა უკვე გამოაცხადეს იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომელთან ერთად აპირებენ ბრიტანეთში გამგზავრებას — ფეხბურთელთა ეს სია შესაძლოა შეიცვალოს გარდა იმისა, რომ გუნდს მეორე მეკარე დაემატება.

*მეკარე: ზურაბ მამალაძე (წნორის „მილანი“);*

*მცველები: გიორგი ციმაკურიძე („სტალი“, უკრაინა), ანზორ კალაძე („ურალანი“, რუსეთი), ელიკ საჯაია („ტორპედო“, რუსეთი), გიორგი ინწკირველი („ვიტ ჯორჯია“), ალეკო ამისულაშვილი, ილია კანდელაკი (ორივე „დინამო“);*

*ნახევარმცველები: გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე, გოჩა ხოჯავა (ორივე „მერანი-ოლიმპი“), ლაშა რეხვიაშვილი („რუხი“, პოლონეთი), რომან ახალკაცი, დავით გამეზარდაშვილი (ორივე „ტორპედო“), გიორგი დეკანოსიძე („ფიურტი“, გერმანია), გიორგი ბერიანიძე („ლოკომოტივი“, ბელარუსი), დავით ქოქიაშვილი („სპარტაკი“, რუსეთი), დავით სირაძე („ლოკომოტივი“);*

*თავდამსხმელები: მიხეილ ბოხიძე, ლადო ახალაია (ორივე „დინამო“), გაგა ჩხეტიანი („ტორპედო“), ირაკლი მოდებაძე („ზაპოროჟიე“, უკრაინა).*

მოკლედ, ოცდაერთწლამდელთა დამრიგებელმა რევაზ არველაძემ გუნდი ერთობ გადაახალისა — კალაძე, რეხვიაშვილი, ჩხეტიანი და ჭელიძე ახალგაზრდულ ნაკრების შეკრებაზე აქამდე არ ყოფილან. მალხაზ ასათიანი კი არველაძეს ივო შუშაკმა წაჰგვარა ეროვნული ნაკრებისთვის. საეჭვოა ახალგაზრდულ ნაკრებში ამისულაშვილის და სირაძის თამაშიც, რადგან, ისინი შუშაკს ეროვნული გუნდისთვის შეუგულებია.

**დავით თავართქილაძე**



დავით სირაძე

# რეინჯერსი — ხიზანიშვილი
## ზურას განრიგი შეუდგინეს: ჯერ კონცენტრაცია, მერე ბრძოლა, ბოლოს მაგიდა

*„რეინჯერსი“ 95 პროცენტი – გვითხრა დაახლოებით ერთი თვის წინ ზურაბ ხიზანიშვილმა, როცა მის სამომავლო ტრანსფერზე დავეკითხეთ.*

*გუშინ კი ხიზანიშვილის აგენტის ათოლ სტილის თანაშემწე ელიოტ ვანტილს დავუკავშირდით და მასთან სატელეფონო საუბარსაც ქვემოთ გთავაზობთ*



**— „რეინჯერსის“ ხელმძღვანელობასთან ოფიციალური მოლაპარაკებები უკვე აწარმოეთ?**

— არა, რადგან ზურა ჯერაც „დანდის“ ფეხბურთელია.

**— შეიძლება ითქვას, რომ ხიზანიშვილის „რეინჯერსში“ გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია?**

— გადაწყვეტილი ჯერ არაფერი არ არის. 31 მაისს ზურას ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი ელის — თასის ფინალი „რეინჯერსის“ წინააღმდეგ და არ გვინდა, ასეთ დროს მოლაპარაკებები ვაწარმოოთ. ხიზანიშვილი მთლიანად თასის ფინალზე უნდა იყოს კონცენტრირებული და ამაში მას ხელი არაფერმა არ უნდა შეუშალოს.

**— და ამიტომ იკავებთ თავს მოლაპარაკებებისგან?**

— დიახ, ჯერ არ ვაპირებთ დავიწყოთ მოლაპარაკება არც ერთ კლუბთან.

**— ხიზანიშვილის „რეინჯერსში“ გადასვლის შანსებს როგორ შეაფასებდით?**

— ის ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელია და „რეინჯერსის“ დონის გუნდში თამაშს თავს გაართმევს. ხიზანიშვილს სხვა ქვეყნის წამყვან გუნდებშიც შეუძლია თამაში.

**დავით თავართქილაძე**

# რევაზ არველაძე ლოკომოტივის განწვრთნაზეც თანახმაა

სკანდალი „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ მატჩზე რკინიგზელთა გუნდიდან თერთმეტი ფეხბურთელის დათხოვნით არ უნდა დამთავრდეს. დიდი შანსია, „ლოკომოტივი“ პერუელმა მწვრთნელმა ლუის ცაკარიასმაც დატოვოს. კულუარებში მის ერთ-ერთ შესაძლო შემცვლელად ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელ რევაზ არველაძესაც ასახელებენ და ჩვენც ოცდაერთწლამდელების თავკაცს რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ.

**— მართალია, რომ „ლოკომოტივს“ უნდა ჩაუდგეთ სათავეში?**

— ამის შესახებ კონკრეტული საუბარი არ მქონია „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობასთან.

**— ესე იგი, „ლოკომოტივის“ მხრიდან შემოთავაზება არ ყოფილა?**

— სხვათა შორის, ამას ბევრი მეკითხება, მაგრამ კონკრეტული ნაღდად არაფერი ყოფილა.

**— ახალგაზრდული ნაკრებისა და „ლოკომოტივის“ ერთდროულად გაწვრთნას დათანხმდებოდით?**

— კლუბის და ნაკრების ერთდროულად გაწვრთნაზე უარს არ ვიტყოდი. თანაც არა მგონია, საქართველოში ისეთი მწვრთნელი იყოს, ვისაც „ლოკომოტივის“ გაწვრთნა არ გაუხარდება — „დინამოსთან“ ერთად ხომ „ლოკომოტივი“ თავისი პირობებით ჩვენში საკმაოდ სერიოზული კლუბია.

**დავით თავართქილაძე**

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები

**შესარჩევი ეტაპი. 7 ივნისი**

### შვეიცარია – რუსეთი

### რუსეთი

*მეკარეები: სერგეი ოვჩინიკოვი (ლოკომოტივი), ვენიამინ მანდრიკინი (ცსკა);*

*მცველები: ვიქტორ ონოპკო (რაიო ვალეკანო, ესპანეთი), იური კოვტუნი (სპარტაკი), ანდრეი სოლომატინი, ალექსეი ბერეზუცკი, ვასილი ბერეზუცკი, დენის ევსიკოვი (ყველა ცსკა), სერგეი იგნაშევიჩი (ლოკომოტივი);*

*ნახევარმცველები: სერგეი სემაკი, როლან გუსევი, იგორ იანოვსკი (სამივე ცსკა), ალექსეი სმერტინი (ბორდო, საფრანგეთი), იგორ სემშოვი (ტორპედო), ანდრეი კარიაკა (კრილია სოვეტოვი), ევგენი ალდონინი (როტორი), პიოტრ ბისტროვი (სატურნი);*

*თავდამსხმელები: დენის პოპოვი (ცსკა), დმიტრი სიჩოვი (მარსელი, საფრანგეთი), დმიტრი ბულიკინი (დინამო)*

### ირლანდია – ალბანეთი

### ალბანეთი

*მეკარეები: ფოტო სტრაკოშა (კალითეა, საბერძნეთი), არიან ბექაი (ოფი, საბერძნეთი), ილიონ ლიკა (დინამო);*

*მცველები: რეზარტ დაბულა (ტირანა), ელვინ ბექირი (ვლაზნია), გერი ჩიპი (გენტი, ბელგია), არიან ალიაი (შარლერუა, ბელგია), ერვინ ფაკაი (დუისბურგი, გერმანია), ნევილ დედე (ტირანა);*

*ნახევარმცველები: კლოდიან დური (პარტიზანი), ბესნიკ ჰასი (ანდერლეხტი, ბელგია), ალტინ ლალა (ჰანოვერი, გერმანია), ედვინ მურატი (ირაკლისი, საბერძნეთი), ერვინ შკულა (აინტრახტი, გერმანია), არიან ბელაი (პანიონიოსი, საბერძნეთი), ბლედი შკემბი (რიეკა, ხორვატია), მეჰმეთ დრაგუშა (ტრიერი, გერმანია), ლორიკ კანა (პსჟ, საფრანგეთი);*

*თავდამსხმელები: იგლი ტარე (ბრეშა, იტალია), ალტინ რაკლი (დიარბაქირი, თურქეთი), ფლორიან მურტაი (ჩეზენა, იტალია), ერიონ ბოგდანი (რეჯინა, იტალია)*

# GEOგრაფიული გარეთ ატლასი

## ცხადაძე 1992 — არველაძე 2003

**კვირას** შოთა არველაძე ორი გუნდის საჯილდაო შოტლანდიის ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა. არველაძე მეოთხე ქართველი ფეხბურთელია, ორი უცხოური ქვეყნის ჩემპიონატი რომ მოუგია. აქამდე ამის გაკეთება გახოკიძემ (ისრაელი, ჰოლანდია), ყაველაშვილმა (რუსეთი, შვეიცარია) და დემეტრაძემ (უკრაინა, რუსეთი) შეძლეს.

ქართველ ლეგიონერთა გაჩემპიონებას 1992 წელს კახა ცხადაძემ ჩაუყარა საფუძველი. რუსთაველი მცველი 11 წლის წინ რუსეთის ჩემპიონი გახდა „სპარტაკის" შემადგენლობაში. მორიგი ლეგიონერული ოქრო ამ ამბიდან ორ წელიწადში კიდევ ორმა ქართველმა მოიპოვა. მიხეილ ჯიშკარიანმა უკრაინაში იპირველა, ოთარ კორღალიძემ ავსტრიაში. 1995 წელს ჩინეთის ჩემპიონი გახდა გოჩა ჟორჟოლიანი. შესაბამისად, ჟორჟოლიანი პირველი ქართველია, რომელიც ევროპის გარეთ გაჩემპიონებულა. ასეთი მიღწევით არმაზ ჯელაძეც დაიტრაბახებს. ჯელაძე სამი წლის წინ საუდის არაბეთის ჩემპიონი გახდა „ალ იტიჰადის" შემადგენლობაში. ჯელაძეს მაშინ იტალიელ რობერტო დონადონის მხარდამხარ უწევდა ბურთაობა. იმ სეზონში „ალ იტიჰადს" ცოტა ხნით რევაზ ძოძუაშვილი წვრთნიდა.

ყველაზე ხშირად ქართველები რუსეთის და ლატვიის ჩემპიონები ხდებოდნენ. „სპარტაკში", „სპარტაკ-ალანიასა" და „ლოკომოტივში" სხვადასხვა დროს რვა ჩვენებურს უპირველია. ამდენივე ქართველი ჩემპიონი ჰყავთ ლატვიაში.

ჩვენებურთაგან ყველაზე ბევრჯერ უცხოური ტიტული ალექსანდრე რეხვიაშვილს მოუხვეჭია. ეროვნული ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი მიჯრით ექვსჯერ (1997-2002) გახდა ლატვიის ჩემპიონი. ოთხ-ოთხჯერ მოუგიათ ამ ქვეყნის პირველობა ზურაბ მენთეშაშვილსა და ლევან კორღალიძეს. ამდენჯერვე ჩემპიონი გახდა კიევის „დინამოში" ჩემპიონთა ლიგის დღევანდელი ფინალისტი კახა კალაძე.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ოთარ და ლევან კორღალიძეები უცხოეთში გაჩემპიონებული პირველი ქართველი მამა-შვილია.

შოთა არველაძის მსგავსად, წლეულს შერიფელმა ვაჟა თარხნიშვილმა და პსველმა გოგა გახოკიძემ იპირველეს. ჩემპიონობის კარგი შანსი აქვს ლევან კორღალიძესაც. „სკონტოს" გაჩემპიონების შემთხვევაში კორღალიძე ზედიზედ მეხუთე ლატვიურ ოქროს მოიპოვებს.

**ბაატა ძმანტალიანი**
**კახა შალამბერიძე**



ალექსანდრე რეხვიაშვილს ქართველთაგან ყველაზე მეტჯერ, ექვსჯერ აღუმართავს უცხო ქვეყნის საჩემპიონო თასი



შოთა არველაძემ „რეინჯერსის" ჩემპიონობაში თავისი წილი დაიდო

### ავსტრია

| | | |
|---|---|---|
| ოთარ კორღალიძე | კაზინო (ზალცბურგი) | 1994 |

### ბელარუსი

| | | |
|---|---|---|
| კახა სვანიძე | ბელშინა (ბობრუისკი) | 2001 |

### თურქმენეთი

| | | |
|---|---|---|
| ბუბა ტყავაძე | კოპეტდაღი (აშხაბადი) | 1997 |
| კახა გოგოლაძე | კოპეტდაღი (აშხაბადი) | 1997 |

### ისრაელი

| | | |
|---|---|---|
| ლევან ხომერიკი | ჰაპოელი (ჰაიფა) | 1999 |

### ლატვია

| | | |
|---|---|---|
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო (რიგა) | 1997-2002 |
| ლევან სილაგაძე | სკონტო (რიგა) | 1997-1999 |
| დავით ჩალაძე | სკონტო (რიგა) | 1997, 1999, 2000, 2001 |
| მამუკა წერეთელი | სკონტო (რიგა) | 1998 |
| დავით გვარამაძე | სკონტო (რიგა) | 1998 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო (რიგა) | 1999-2002 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო (რიგა) | 1999-2002 |
| გივი კვარაცხელია | სკონტო (რიგა) | 2001 |

### ლიტვა

| | | |
|---|---|---|
| ირაკლი ზოიძე | ჟალგირისი (კაუნასი) | 1999 |

### მოლდოვა

| | | |
|---|---|---|
| ლადო ახალაია | ზიმბრუ (კიშინიოვი) | 2000 |
| ლევან გვაზავა | ზიმბრუ (კიშინიოვი) | 2000 |
| დავით მუჯირი | შერიფი (ტირასპოლი) | 2001 |
| ვაჟა თარხნიშვილი | შერიფი (ტირასპოლი) | 2001-2003 |

### რუსეთი

| | | |
|---|---|---|
| კახა ცხადაძე | სპარტაკი (მოსკოვი) | 1992 |
| მურთაზ შელია | სპარტაკ-ალანია (ვლადიკავკაზი) | 1995 |
| მიხეილ ყაველაშვილი | სპარტაკ-ალანია | 1995 |
| ზაზა რევიშვილი | სპარტაკ-ალანია | 1995 |
| იოსებ გრიშიკაშვილი | სპარტაკ-ალანია | 1995 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | სპარტაკი (მოსკოვი) | 2000 |
| კახა მჟავანაძე | სპარტაკი (მოსკოვი) | 2001 |
| გიორგი დემეტრაძე | ლოკომოტივი (მოსკოვი) | 2002 |

### საუდის არაბეთი

| | | |
|---|---|---|
| არმაზ ჯელაძე | ალ იტიჰადი | 2000 |

### უკრაინა

| | | |
|---|---|---|
| მიხეილ ჯიშკარიანი | დინამო (კიევი) | 1994,1995 |
| კახა კალაძე | დინამო (კიევი) | 1998-2001 |
| გიორგი დემეტრაძე | დინამო (კიევი) | 2000, 2001 |

### ყაზახეთი

| | | |
|---|---|---|
| ვლადიმერ ქუთათელაძე | ჟენისი (ასტანა) | 2000 |
| ვასილ სეფაშვილი | ჟენისი (ასტანა) | 2000, 2001 |
| დიმიტრი ვერემჩუკი | ჟენისი (ასტანა) | 2001 |

### შვეიცარია

| | | |
|---|---|---|
| მიხეილ ყაველაშვილი | გრასჰოპერი (ციურიხი) | 1998 |
| გიორგი ნემსაძე | გრასჰოპერი (ციურიხი) | 1998 |

### შოტლანდია

| | | |
|---|---|---|
| შოთა არველაძე | რეინჯერსი (გლაზგო) | 2003 |

### ჩინეთი

| | | |
|---|---|---|
| გოჩა ჟორჟოლიანი | შანხაი შენხუა | 1995 |

### ჰოლანდია

| | | |
|---|---|---|
| შოთა არველაძე | აიაქსი (ამსტერდამი) | 1998, 2002 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | 2001 |

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. ფინალი. დღეს

## იუვენტუსი

1. ჯანლუიჯი ბუფონი, 25 წლის: „პარმადან“ „იუვეში“ გადასვლის მერე, 2001 წელს, მსოფლიოს უძვირესი მეკარე შეიქნა. ტურინელებმა მასში 45,9 მილიონი დოლარი გადაიხადეს. ცხადია, რომ ფასის გარდა ის კლასითაც ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. ნახევარფინალში მის მიერ ლუიშ ფიგუსთვის აღებული პენალტი რომ არა, ვინძლო ფინალში „რეალი“ გასულიყო.

21. ლილიან ტურამი, 31 წლის: მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ფრანგი ცენტრალურ მცველად თამაშს ამჯობინებს, თუმცა ლიპი მას ჩვეულებრივ მარჯვენა ფლანგზე ამწესებს. უაღრესად საიმედო მცველია და მნიშვნელოვანი როლი ეკისრება „იუვეს“ კონტრიერიშებისას.

2. ჩირო ფერარა, 36 წლის: ვეტერანმა მცველმა 1996 წელს უკვე მოიგო ჩემპიონთა ლიგა, როცა „იუვემ“ პენალტების სერიაში „აიაქსს“ სძლია. წლეულს მოგებული სკუდეტო კი მის კარიერაში მეშვიდეა, რამაც თანამედროვე იტალიელ ფეხბურთელთაგან ყველაზე ტიტულიანად აქცია. ნახევარფინალის საპასუხო მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა

4. პაოლო მონტერო, 31 წლის: ფერარასთან ერთად დაცვის ბურჯს წარმოადგენს. ძალიან ძლიერია ორთაბრძოლებისას და პოზიციასაც მუდამ სწორად არჩევს. ტიპიური სამხრეთამერიკელი ფეხბურთელია.

15. ალესანდრო ბირინდელი, 28 წლის: ამ სეზონში სერია A-ს მატჩებისას მეტწილად სათადარიგოთა სკამზე იჯდა, სამაგიეროდ, ლიპი მას ჩემპიონთა ლიგაში ათამაშებდა. საპასუხო ნახევარფინალურ შეხვედრაში საიმედოდ ამოკეტა ლუიშ ფიგუ, თუმცა მეორე ტაიმის დასაწყისში დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა.

16. მაურო კამორანეზი, 26 წლის: როცა „იუვემ“ ერთი წლის წინ არგენტინელი ნახევარმცველი „ვერონადან“ წაიყვანა, ბევრისთვის უცნაური ამბავი იყო. მაგრამ მისმა კარგმა თამაშმა ჯოვანი ტრაპატონიც მოხიბლა და იტალიური პასპორტის აღების მერე „სკუადრა აძურაშიც“ მიიწვია. დღეს ის დისკვალიფიცირებულ პაველ ნედვედს შეცვლის.

26. ედგარ დავიდსი, 30 წლის: ლიპიმ მას თავის დროზე „ჩემი ერთკაცა მოტორი“ უწოდა. ის საოცრად ბრძოლისუნარიანია და უფრო ხშირად „პიტბულს“ უწოდებენ. ახლა, ნედვედის არყოფნაში, ჰოლანდიელს საქმე ერთი-ორად მოემატება. სასარგებლოა შეტევაშიც და დაცვაშიც.

3. ალესიო ტაკინარდი, 27 წლის: ცენტრალური ნახევარმცველი საუკეთესო პარტნიორობას უწევს დავიდსს და ნედვედს. ერთ ხანს, სასტარტო შემადგენლობაში ადგილი დაკარგული ჰქონდა, თუმცა ბოლო ხანს კარგად ათამაშდა და ადგილიც დაიბრუნა.

19. ჯანლუკა ძამბროტა, 26 წლის: თავის საუკეთესო სეზონს ატარებს. თანაბრად კარგად თამაშობს ორივე ფლანგზე. ზუსტი პასი აქვს. ზოგჯერ მცველადაც ათამაშებენ, თუმცა მეტი სარგებლობა ნახევარდაცვაში მოაქვს.

10. ალესანდრო დელ პიერო, 28 წლის: ტრავმის გამო ორი თვე გაუცდა, მაგრამ „რეალისთვის“ გატანილი უმნიშვნელოვანესი გოლით დაამტკიცა, რომ ძველი ფორმა სწორედ საჭირო მომენტში აღიდგინა. ბრწყინვალედ ასრულებს საჯარიმოებს და დავიდ ტრეზეგეს კარგ პარტნიორობას უწევს.

17. დავიდ ტრეზეგე, 25 წლის: მუხლის ტრავმამ „ტრეზეგოლს“ სეზონის გვარიანი ნაწილი გამოატოვებინა, რის გამოც საამსეზონო ბომბარდირთა დავაში მონაწილეობა ვერ მიიღო. ახლა ფორმა აღიდგინა. აქვს ძლიერი და ზუსტი დარტყმა. კარგად ფლობს ბურთს. და ასევე, ძლიერია საჰაერო ორთაბრძოლებში.

### მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი“

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)




კარლო ანჩელოტი და მარჩელო ლიპი

# იტალიური ოპერა ინგლისური ყურებისთვის

დღეს მანჩესტერში ჩემპიონთა ლიგის პირველი იტალიური ფინალია: „იუვენტუსი“ — „მილანი“. „იუვენტუსი“ იტალიელთაგან ბოლოა, ვისაც ეს ჯილდო ეპყრა ხელთ. ტურინელებმა ლიგა 1996 წელს მოიგეს, ხოლო ახლა, სკუდეტოს ოცდამეშვიდედ დაბევებიდან ორი კვირის შემდეგ სეზონის ბრწყინვალედ დასრულებას ეშურებიან.

„მილანი“ ჩემპიონთა თასს ბოლოს 1994 წელს ფლობდა და თუ დღეს გაიმარჯვებს, მისი ექვსგზის მფლობელი გახდება. საინტერესოა, რომ ვინაიდან ერთმანეთის პირისპირ ორი იტალიური გუნდი დგას, ბევრი ეგრეთ წოდებული ნეგატიური ტაქტიკის, ანუ დაცვაზე აგებული თამაშის „ზეიმს“ ელის, მით უფრო, რომ „იუვეს“ პაველ ნედვედი ჰყავს დისკვალიფიცირებული. ამბობენ, „ოლდ ტრეფორდზე“ ორი დაცვის შეჯიბრებას ვნახავთ.

შესაძლებელია, მაგრამ აბა, სხვა ფინალებიც გავიხსენოთ. განა ხშირია, თავიდან ბოლომდე შეტევებით და დიდებული კომბინაციებით მოხატული მატჩები? თავს ნუ მოვიტყუებთ, არა! გნებავთ იტალიელები თამაშობდნენ და გნებავთ სხვები, ფინალში მეტწილად რამდენიმე გამორჩეული წამის მომსწრენი ვხდებით და ეს არის.

„როიტერის“ კორესპოდენტს, კევინ ფილანს ალბათ თანამემამულეთა გასაგონად 1999 წლის „მანჩესტერ“ — „ბაიერნის“ ფინალი მოაქვს მაგალითად და ამბობს, რომ იქაც სულ რამდენიმე დასამახსოვრებელი ეპიზოდი ვიხილეთ, დანარჩენი კი, სანახაობის თვალსაზრისით გინდა ყოფილიყო, გინდა არაო. იმავე ფილანის აზრით, დიდად საინტერესო არც ისეთი ფინალებია, ერთი გუნდი მეორეს რომ გამოიჭერს და იოლად დაამარცხებს — „რეალსა“ და „ვალენსიას“ 3:0 2000 წელს.

„ჩვენსა და „მილანს“ შორის ყოველთვის ლამაზი თამაში იმართება — ამბობს ზემოხსენებული ნედვედი — ეს ორი გუნდი ტაქტიკურად ძალიან განსწავლულია, მეტოქეს თავისუფალ ადგილს ნაკლებად უტოვებს, მაგრამ იმავდროულად მისაგებად თამაშობს და სანახაობრივი ფეხბურთის წინაპირობაც სწორედ ეს არის“.

ახლა იმაზე, თუ როდის იყო იტალიური გუნდი ბოლოს ფინალში. ეს გახლდათ 1998 წელს, „რეალისა“ და „იუვენტუსის“ შეხვედრაში.

ცნობისთვის: დღევანდელი ფინალი ბოლო ექვს წელიწადში მეორეა, რომელსაც ესპანური გუნდი არ თამაშობს.

ვინ დაიკავებს პაველ ნედვედის ადგილს? ამბობენ, რომ ეს მაურო კამორანეზი იქნება. კიდევ ამბობენ, რომ შესაძლოა მარჩელო ლიპიმ მარკო დი ვაიოს ანდოს უკან დაწეული თავდამსხმელის როლი.

„მილანის“ თავკაცი კარლო ანჩელოტი კი ალესანდრო კოსტაკურტას ჯანმრთელობაზე ფიქრობს. კოსტაკურტამ ორშაბათის ვარჯიშში გამოტოვა და თუ ამ დასვენებამ ვერ უშველა, მის მაგივრად ან როკე ჟუნიორი ითამაშებს, ან დარიო შიმიჩი.

ისევ სტატისტიკა: ლიპის, როგორც მოგახსენეთ, ჩემპიონთა თასი მწვრთნელის რანგში აქვს მოგებული, ანჩელოტის კი ფეხბურთელობისას ორჯერ, 1989 და 1990 წლებში აღუმართავს ჯილდო. რაც შეეხებათ მოთამაშეებს, ალერე გამარჯვებული ფეხბურთელი ორივე გუნდს მრავლად ჰყავს, რომელთა შორის გამოირჩევა მილანელი კლარენს ზეედორფი, ჩემპიონთა ლიგის ორგზის ტრიუმფატორი.

„მართლაც, „მილანისა“ და „იუვენტუსის“ შეხვედრები ყოველთვის სანახაობრივია — ამბობს „მილანის“ თავდამსხმელი ანდრეი შევჩენკო — ვფიქრობ, ნამდვილ სპექტაკლს ვიხილავთ“.

**ბაჩუნა ძიძია**



ალესანდრო დელ პიერომ მანჩესტერში გულისსწორიც იახლა



კლარენს ზეედორფს ლიგის ფინალის მესამედ მოგების შანსი მიეცა

## ურთიერთშეხვედრები

### სერია A

| იუვენტუსი | 142 | მილანი |
|---|---|---|
| 49 | მოგება | 42 |
| | ფრე 51 | |
| 202 | ბურთები | 190 |

### იტალიის თასი

| იუვენტუსი | 19 | მილანი |
|---|---|---|
| 6 | მოგება | 7 |
| | ფრე 6 | |
| 20 | ბურთები | 22 |

ევროთასებზე ერთმანეთს არ შეხვედრიან

## მილანი

12. ნელსონ დიდა, 29 წლის: ბრაზილიელი მეკარე კარლო ანჩელოტის რჩეულია, ანუ მისმა კარგმა თამაშმა კრისტიან აბიატი სათადარიგოდ გაამწესა. თუმცა ხელის ტრავმამ დიდას საპასუხო ნახევარფინალური მატჩი გამოატოვებინა, საფინალოდ ბრაზილიელმა ტრავმა მოირჩინა და დღეს კარში ჩადგება.

19. ალესანდრო კოსტაკურტა, 37 წლის: ბებერ მცველს წინა სეზონი მუხლის ტრავმის გამო გაუცდა. მერე თითქოს ამერიკაში უნდა წასულიყო, მაგრამ დარჩა და ახალგაზრდობაც გაიხსენა, თან ისე გაიხსენა, რომ „მილანი“ ახალ კონტრაქტსაც სთავაზობს. „სკუადრა აძურას“ ყოფილ მცველს კარიერაში 18 ჯილდო მოუგია, მათ შორის ექვსი სკუდეტო და სამიც ევროთასი.

13. ალესანდრო ნესტა, 27 წლის: „ლაციოს“ ყოფილი კაპიტანი „მილანმა“ შარშან 30,2 მილიონ ევროდ იყიდა და არც უნანია. ჩინებულ პარტნიორობას უწევს დაცვის ცენტრში პაოლო მალდინის, გაწონასწორებული ფეხბურთელია და მის თამაშში ძნელად თუ იპოვით შეცდომებს. თავის პოზიციაზე ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება.

3. პაოლო მალდინი, 34 წლის: კაპიტანს საამსეზონო ჩემპიონთა ლიგაში ერთი თამაშიც არ გამოუტოვებია. ბევრს ისიც უკვირს, რატომ თქვა ნაკრებში თამაშზე უარი. მოგეხსენებათ, ადრე მალდინი მარცხენა მცველი იყო, ახლა ეს ადგილი კახა კალაძეს უკავია, კაპიტანმა კი ცენტრში გადაიწია. მას უკვე სამჯერ აქვს ჩემპიონთა თასი მოგებული — 1989, 90 და 94 წლებში.

4. კახა კალაძე, 25 წლის: მალდინის და ნესტას გვერდით ადგილის დამკვიდრება იოლი არ იყო, თავიდან მას ხშირად უცვლიდნენ პოზიციას, საბოლოოდ კი მარცხენა მცველად დამკვიდრდა. ის ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასული პირველი ქართველია.

8. ჯენარო გატუზო, 25 წლის: ყოფილმა რეინჯერმა მილანელ ფანთა სიყვარული დაუნებებელი ხასიათითა და შავი სამუშაოს შესრულებით მოიპოვა. გარდა ამისა, საჭირო დროს საჭირო პასებს არიგებს და გვარიანად უიოლებს საქმეს ანდრეა პირლოსა და მანუელ რუი კოშტას.

21. ანდრეა პირლო, 24 წლის: სეზონის დასაწყისში ანჩელოტის მის გარშემო ჰქონდა თამაში აგებული. მერე ერთ ხანს ჩრდილში მოექცა, სეზონის ბოლო კი კვლავ შთამბეჭდავი გამოუვიდა. „მილანში“ პენალტებს ის ასრულებს.

20. კლარენს ზეედორფი, 27 წლის: ექვსი კვირის წინ „მილანმა“ გამოაცხადა, რომ „აიაქსთან“ მიღებული ტრავმის გამო ჰოლანდიელისთვის სეზონი დასრულდა. იმ ამბიდან ერთი თვის თავზე ზეედორფი „ინტერთან“ საპასუხო ნახევარფინალში დაბრუნდა და გუნდს თავისი ყოფილი კლუბის ძლევაში დაეხმარა. მართალია, მისი საბოლოო გამოჯანმრთელება ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, მაგრამ გუნდისთვის სარგებლობის მოტანა არცთუ საუკეთესო ფორმაში მყოფსაც შეუძლია. განსაკუთრებით სახიფათო მისი ნებისმიერი ადგილიდან და მანძილიდან უძლიერესი დარტყმებია. მას აქვს შანსი, სამი სხვადასხვა კლუბის სახელით მოიგოს ჩემპიონთა ლიგა.

10. მანუელ რუი კოშტა, 31 წლის: „სან სიროზე“ თავისი პირველი სეზონის ერთი ნაწილი პორტუგალიელმა გამთამაშებელმა ტრავმების მოშუშებაში გაატარა და ახლა გაბრწყინების შანსი ეძლევა. როცა „მილანი“ და „იუვე“ შეხვდნენ ერთმანეთს, გადამწყვეტი ფილიპო ინძაგის გოლი გახდა, რომელიც რუი კოშტას პასით გაიტანა.

7. ანდრეი შევჩენკო, 26 წლის: მუხლის ტრავმის მერე უკრაინელი ფორვარდი სწრაფად ილდგენს ფორმას და კარგ პარტნიორობასაც უწევს ინძაგის. მას შეუძლია ყველაფერი — ბურთით სწრაფად სირბილი, მცველების მოტყუება, ნებისმიერი ადგილიდან გატანა. „მილანი“ ფინალში სწორედ მისი გოლით გავიდა.

9. ფილიპო ინძაგი, 29 წლის: შევჩენკოსგან განსხვავებით, ის მუდამ ოფსაიდის ზღვარზე თამაშობს. მეტწილად ახლო მანძილიდან გააქვს. ამ სეზონში ლიგაში გატანილი გოლებით (10) მხოლოდ რუუდ ვან ნისტელროის ჩამორჩება.

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. ფინალი. დღეს

## წყვილი აღმოსავლეთიდან



ანდრეი შევჩენკო

**როდესაც** „მილანის" წყვილი, ანდრეი შევჩენკო და კახა კალაძე ჩემპიონთა ლიგის ფინალში „იუვენტუსის" წინააღმდეგ მოედანზე გავა, ახდება ოცნება, რომელიც ერთხელ ხელიდან გაუსხლტათ.

თავდამსხმელი შევჩენკო და მცველი კალაძე 1990-იანი წლების მიწურულს იმ კიევის „დინამოში" თამაშობდნენ, რომელიც აღმოსავლეთევროპულ გუნდთაგან ბოლო გაუთამამდა დიდ სიმაღლეებს — 1999 წელს ლიგის ნახევარფინალში გავიდა.

„მე და ანდრეი კიევში, დიდ გუნდში ვთამაშობდით, მაგრამ ფინალში ვერ გავედით. დღეს ბედნიერები ვართ, რომ „მილანთან" ერთად მივაღწიეთ ამ მიზანს" — ამბობს საქართველოს ნაკრების მცველი.

უკრაინულ გუნდს, ვალერი ლობანოვსკის ხელმძღვანელობით, ევროპული ფეხბურთის არისტოკრატთა გაწბილება სჩვეოდა. კერძოდ, 1997-98 წლებში გაწბილდნენ „ბარსელონა" და „ეინდჰოვენი", თუმცა, შემდეგ, მეოთხედფინალში, კიეველებს „იუვენტუსმა" აჯობა. მაშინ შევჩენკოს დღევანდელმა მეწყვილემ, ფილიპო ინძაგიმ ჰეთ თრიქი შეასრულა და „იუვემ" უკრაინის დედაქალაქში 4:1 მოიგო.

ერთი წლის შემდეგ, ჯგუფურ ეტაპზე, დამარცხა „არსენალი" — 3:1. ამის შემდეგ კი ყოფილი საბჭოთა გუნდის ისტორიის ერთ-ერთი უდიადესი საღამო დადგა — „დინამომ" „რეალს" მოუგო 2:0. კიეველთა ნახევარფინალში გასაყვანად შევჩენკომ ორჯერ გაიტანა.

თავდამსხმელმა ნახევარფინალში კიდევ ორი შეაგდო, როდესაც კიევში „ბაიერნთან" შეხვედრა 3:3 დასრულდა, მაგრამ გერმანიაში, საპასუხო შეხვედრაში მიუნხენელებმა 1:0 მოიგეს და „დინამოს" ოცნებასაც აქ დაესვა წერტილი.

შემდეგ კი შემადგენლობა დაიშალა. შევჩენკოს თანამემამულე, მასავით თავდამსხმელი სერგეი რებროვი ინგლისში, „ტოტენჰემ ჰოთსპურში" გადავიდა — სადაც იმედი გაუცრუვდა — ხოლო მცველი ოლეგ ლუჟნი იმავ ლონდონის „არსენალმა" წაიყვანა. შესაბამისად, შევჩენკოსა და კალაძის წყვილის მცდელობა კიევის გუნდისთვის ევროპული დიდების დღეები დაებრუნებინა, წარუმატებლად დასრულდა, მაგრამ მათ დღეს ეძლევათ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების შესაძლებლობა.

„ეს ჩემი სიჭაბუკის დროინდელი ოცნებაა, რომელიც მას მერე გამიძლიერდა, რაც ფეხბურთელი გავხდი. 1999 წელს დიდი იმედგაცრუება ვიგრძენი, თუმცა დღეს რომ ვუფიქრდები, ვეჭვობ, რომ მაშინ მთელი გზის ბოლომდე გასვლისთვის ვიყავით მზად. სწორედ მაშინ წავაგეთ, როდესაც მეტის მიღწევა აღარ შეგვეძლო" — იგონებს შევჩენკო.

საერთოდ, ფეხბურთელები ყოფილი საბჭოეთიდან, ევროპაში დიდ ეფექტს ვერ ახდენენ, მაგრამ შევჩენკომ, ჩავიდა თუ არა იტალიაში, პირველსავე სეზონში 24 გოლი გაიტანა და ერთი წლის შემდეგაც იგივე გაიმეორა. ამ სეზონში ის ტრავმამ გააწვალა, ძნელია ამტკიცო, რომ ის საუკეთესო ფორმაშია, მაგრამ ლიგის ნახევარფინალში „ინტერის" კარში საბედისწერო გოლი სწორედ მან შეაგდო.

„არ გამიმართლა, სეზონის დასაწყისშივე დავშავდი და რამდენიმე თვით ჩამოვცილდი მოედანს, მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ გამოვასწორე მდგომარეობა და ეს მიუხედავად იმისა, რომ სხვა მცირე ტრავმებიც დამემატა. ახლა, მგონი სრულებით გამოვედი მდგომარეობიდან და საკუთარი ძალებისაც ძველებურად მწამს" — თქვა შევჩენკომ.

კალაძეს „მილანში" გადასვლიდან 18 თვის მანძილზე ოთხი მწვრთნელის გამოცვლა მოუხდა. შესაბამისად, მას სათამაშო პოზიციებს უცვლიდნენ, თუმცა ამ სეზონში დაცვის მარცხენა ჯებირი გახდა. ეს კი ის ადგილია, რომელზეც ათ წელიწადზე მეტხანს გუნდის კაპიტანი, პაოლო მალდინი ბატონობდა.

„თავიდან პოზიციათა ცვლის გამო მართლაც მქონდა მცირე პრობლემები, თუმცა, ახლა შეიძლება ითქვას, რომ ჩემს ადგილს მივაგენი და ძალიან ბედნიერი ვარ მხარს მალდინი რომ მიმაგრებს. ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ და მისი დახმარებით სერია A-ს მოთამაშედ ჩამოვყალიბდი" — ამბობს კალაძე.

**საიმონ ევანსი**
*როიტერი*



კახა კალაძე

*იტალიური გუნდები პირველად ხვდებიან ერთმანეთს ფინალში, თუმცა იტალიური კლუბებისა რა უნდა გაგვიკვირდეს, როდესაც აქამდე ერთი ქვეყნის გუნდებს ფინალში ერთადერთხელ და ისიც ახლახან, სამი წლის წინ, პარიზში უთამაშიათ — ლაპარაკია „რეალ" — „ვალენსიაზე". ევრეთ წოდებულ ესპანურ ფინალზე.*

*მაგრამ, „იუვე" მოიგებს თუ „მილანი", სულერთია, იტალია ჩემპიონთა თასის ათეზის მფლობელი გახდება და ამ შედეგით ესპანეთს გაუტოლდება.*

*საინტერესოა, რომ 90-იან წლებში „მილანიცა" და „იუვეც" სამჯერ იყვნენ ლიგის ფინალში და ბოლო ცდა ორივეს წარუმატებლად დაუსრულდა.*

*1998 წლის შემდეგ ლიგის ფინალში იტალიას გუნდი არ ჰყოლია.*

*„იუვე" ისტორიაში მეშვიდე ფინალს თამაშობს, „მილანი" — მეცხრეს.*

*„იუვეს" ფინალში ერთ გოლზე მეტი არასდროს გაუტანია და ჯამში, ექვს შეხვედრაში სამი გამოუვიდა, ხოლო „მილანი" ცხრა შემთხვევიდან სამჯერ (1969, 1989, 1994) მოედნიდან სულ მცირე ოთხი გოლის გატანის შემდეგ გავიდა.*

*მანჩესტერში ჩემპიონთა თასის ფინალი პირველად იმართება, სულ კი ინგლისში ასეთი მატჩი ექვსჯერ ჩატარებულა. ამ ექვსიდან ხუთი ლონდონში, „უემბლიზე" გაიმართა.*




„ოლდ ტრეფორდი" ჩემპიონთა ლიგის ფინალს პირველად უმასპინძლებს

## გზა ფინალამდე

### იუვენტუსი

| | | |
|---|---|---|
| **I ჯგუფური ეტაპი** | | |
| 18.09.02 | ფეიენოორდი (ჰოლანდია) 1:1 იუვენტუსი | კამორანეზი |
| 24.09.02 | იუვენტუსი 5:0 დინამო (უკრაინა) | დი ვაიო (2), დელ პიერო, დავიდსი, ნედვედი |
| 01.10.02 | იუვენტუსი 2:0 ნიუკასლი (ინგლისი) | დელ პიერო (2) |
| 23.10.02 | ნიუკასლი 1:0 იუვენტუსი | |
| 29.10.02 | იუვენტუსი 2:0 ფეიენოორდი | დი ვაიო (2) |
| 13.11.02 | დინამო 1:2 იუვენტუსი | სალასი, ზალაიეტა |
| **II ჯგუფური ეტაპი** | | |
| 26.11.02 | დეპორტივო (ესპანეთი) 2:2 იუვენტუსი | ბირინდელი, ნედვედი |
| 11.12.02 | იუვენტუსი 4:0 ბაზელი (შვეიცარია) | ტრეზეგე, მონტერო, ტაკინარდი, დელ პიერო |
| 19.02.03 | მანჩესტერი (ინგლისი) 2:1 იუვენტუსი | ნედვედი |
| 25.02.03 | იუვენტუსი 0:3 მანჩესტერი | |
| 12.03.03 | იუვენტუსი 3:2 დეპორტივო | ფერარა, ტრეზეგე, ტუდორი |
| 18.03.03 | ბაზელი 2:1 იუვენტუსი | ტაკინარდი |
| **მეოთხედფინალი** | | |
| 09.04.03 | იუვენტუსი 1:1 ბარსელონა (ესპანეთი) | მონტერო |
| 22.04.03 | ბარსელონა 1:2დ.დ. იუვენტუსი | ნედვედი, ზალაიეტა |
| **ნახევარფინალი** | | |
| 06.05.03 | რეალი (ესპანეთი) 2:1 იუვენტუსი | ტრეზეგე |
| 14.05.03 | იუვენტუსი 3:1 რეალი | ტრეზეგე, დელ პიერო, ნედვედი |

### მილანი

| | | |
|---|---|---|
| **საკვალიფიკაციო ეტაპი** | | |
| 14.08.02 | მილანი 1:0 ლიბერეცი (ჩეხეთი) | ინძაგი |
| 28.08.02 | ლიბერეცი 2:1 მილანი | ინძაგი |
| **I ჯგუფური ეტაპი** | | |
| 18.09.02 | მილანი 2:1 ლანსი (საფრანგეთი) | ინძაგი (2) |
| 24.09.02 | დეპორტივო (ესპანეთი) 0:4 მილანი | ზეედორფი, ინძაგი (3) |
| 02.10.02 | ბაიერნი (გერმანია) 1:2 მილანი | ინძაგი (2) |
| 23.10.02 | მილანი 2:1 ბაიერნი | სერჯინიო, ინძაგი |
| 29.10.02 | ლანსი 2:1 მილანი | შევჩენკო |
| 13.11.02 | მილანი 1:2 დეპორტივო | ტომასონი |
| **II ჯგუფური ეტაპი** | | |
| 26.11.02 | მილანი 1:0 რეალი (ესპანეთი) | შევჩენკო |
| 11.12.02 | დორტმუნდი (გერმანია) 0:1 მილანი | ინძაგი |
| 19.02.03 | მილანი 1:0 ლოკომოტივი (რუსეთი) | ტომასონი |
| 25.02.03 | ლოკომოტივი 0:1 მილანი | რივალდო |
| 12.03.03 | რეალი 3:1 მილანი | რივალდო |
| 18.03.03 | მილანი 0:1 დორტმუნდი | |
| **მეოთხედფინალი** | | |
| 08.04.03 | აიაქსი (ჰოლანდია) 0:0 მილანი | |
| 23.04.03 | მილანი 3:2 აიაქსი | ინძაგი, შევჩენკო, ტომასონი |
| **ნახევარფინალი** | | |
| 07.05.03 | მილანი 0:0 ინტერი (იტალია) | |
| 13.05.03 | ინტერი 1:1 მილანი | შევჩენკო |

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. ფინალი. დღეს

## იუვენტუსი

| | |
|---|---|
| დაარსდა | 1897 წელს |
| მეტსახელი | „ბებერი ქალბატონი", „ბიანკონერი" |
| პრეზიდენტი | ვიტორიო კიუზანო |
| ვიცე-პრეზიდენტი | ლუჩანო მოჯი |
| მწვრთნელი | მარჩელო ლიპი |
| კაპიტანი | ალესანდრო დელ პიერო |
| იტალიის ჩემპიონი | 27 |
| იტალიის თასის მფლობელი | 9 |
| იტალიის სუპერთასის მფლობელი | 3 |
| ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი | 2 |
| თასების მფლობელთა თასის მფლობელი | 1 |
| უეფას თასის მფლობელი | 3 |
| ევროპის სუპერთასის მფლობელი | 2 |
| საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი | 2 |

## მილანი

| | |
|---|---|
| დაარსდა | 1899 წელს |
| პრეზიდენტი | სილვიო ბერლუსკონი |
| ვიცე-პრეზიდენტი | ადრიანო გალიანი |
| მწვრთნელი | კარლო ანჩელოტი |
| კაპიტანი | პაოლო მალდინი |
| მეტსახელი | „როსონერი" |
| იტალიის ჩემპიონი | 16 |
| იტალიის თასის მფლობელი | 4 |
| იტალიის სუპერთასის მფლობელი | 4 |
| ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი | 5 |
| თასების მფლობელთა თასის მფლობელი | 2 |
| ევროპის სუპერთასის მფლობელი | 3 |
| საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი | 3 |

# ახალგაზრდა ბებერი

*როდესაც „იუვენტუსი" ოცდამეშვიდედ გახდა იტალიის ჩემპიონი, მთელი ქვეყანა ზეიმობდა. დიახ, მთელი ქვეყანა! ზეიმობდნენ არა მარტო ტურინში — უცნაურია, რომ ქართულად იოლად წარმოსათქმელი სახელწოდება ტორინო, ჩვენში რატომღაც დამახინჯებით, ტურინად დამკვიდრდა — არამედ, სამხრეთის პაწაწინა სოფლებშიც, რადგან „იუვე" სახალხო გუნდია*

და, ბუნებრივია, რაკილა ის ყველაზე მეტ იტალიელს უყვარს, სხვა კლუბების ქომაგებს სძულთ.

სძულთ, მაგრამ, როდესაც „ბებერი ქალბატონი" ვთქვათ, სიცილიაზე ან სარდინიაზე ამხანაგური თამაშისთვის ჩადის, სტადიონები ივსება და მოძულენი ვერაფერს შვრებიან.

„იუვე" ტორინოში... უკაცრავად, ტურინში 1894 წლის 1 ნოემბერს დაარსდა. პირველი ორი წელიწადი იარსება, როგორც მასიმო დაძელიო გრამარის სკოლის სპორტულმა კლუბმა, ორი წლის შემდეგ კი „იუვენტუსად", ანუ ახალგაზრდათა საფეხბურთო კლუბად მოინათლა.

გუნდმა იტალიის ჩემპიონის წოდება პირველად 1905 წელს მოიპოვა, თუმცა ქალაქში იმხანად მასზე ძლიერი „ტორინო" თამაშობდა. ასე გაგრძელდა 30-იან წლებამდე, სანამ „იუვეს" პატრონობა მანქანათა მწარმოებელი მანუფაქტურის მფლობელებმა, ანიელებმა არ ითავეს. და აი, რა გამოვიდა: კარგმა ხელფასმა ხელფასებამდე, მათთან გადასვლისთვის გალებულმა ერთჯერადმა თანხებმა და „ფიატის" მანქანამ „იუვენტუსში" საუკეთესო ფეხბურთელები მიიზიდა.

1931 წლიდან მოყოლებული გუნდმა ზედიზედ ხუთჯერ მოიპოვა იტალიის ჩემპიონის წოდება. მაშინ მის შემადგენლობაში თამაშობდნენ 1934 წლის მსოფლიოს ჩემპიონები: რაიმუნდო ორსი, ლუისიტო მონტი, ლუიჯი ბერტოლინი და ჯოვანი ფერი.

მეორე ოქროს ერა „იუვეს" 1958-61 წლებში ჰქონდა, როდესაც ტურინში სათამაშოდ ჩავიდნენ უცხოელი ვარსკვლავები, დანიელი თავდამსხმელები იონ ჰანსენი და კარლ პრესტი, უელსელი ჯონ ჩარლზი და არგენტინელი ომარ სივორი, 1961 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი.

თუმცა, 60-იანი წლების უმეტეს ხანს ტურინელებს მილანის მაშინდელ გრანდებთან ჭიდილი უჭირდათ და ორჯერ უეფას თასის ფინალშიც დამარცხდნენ.

70-იან წლებში „იუვენტუსი" კიდევ ოთხჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი. ეს უკვე რობერტო ბეტეგას, დინო ძოფის და მათი თაობის გუნდია, 1977 წელს პირველი ევროგამარჯვება, უეფას თასიც რომ მოიპოვა — ფინალში ბილბაოს „ატლეტიკთან" მოიგო. მაშინ საქმეს იტალიის ნაკრების დღევანდელმა მწვრთნელმა, ჯოვანი ტრაპატონიმ მოკიდა ხელი და ათ წელიწადში კიდევ ექვსი სკუდეტო მიითვალა. ტრაპატონისეულ „იუვეში" თამაშობდნენ 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონები: მარკო ტარდელი, კლაუდიო ჯენტილე, პაოლო როსი.

იმხანად ტურინელები ისევ უცხოელ ვარსკვლავებს მიუბრუნდნენ, უცხოელებით გაძლიერება ევროსარბიელზე გააქტიურებასაც ნიშნავდა და აკი გამოჩნდნენ კიდეც მოედანზე ირლანდიელი ლაიამ ბრეიდი, პოლონელი ზბიგნევ ბონეკი და რაც მთავარია, ფრანგი მიშელ პლატინი.

პლატინი ნახევარდაცვიდან თამაშობდა, მაგრამ 1984-87 წლებში ზედიზედ სამჯერ გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. სწორედ პლატინის დროს მოიპოვა „იუვემ" ჩემპიონთა თასი. ეს 1985 წელს მოხდა, თუმც მანამდე, 1983-ში იგივე თასი „ჰამბურგთან" წააგო.

თუმცა მაშინ, 1985 წელს, „იუვენტუსის" ქომაგებმა ვერ იზეიმეს, რადგან ბრიუსელის „ეიზელზე", სადაც „ლივერპულთან" ფინალი გაიმართა, ტრიბუნა ჩაინგრა და 95 ადამიანის, უპირველესად ტურინელების სიცოცხლე შეიწირა.

პლატინის შემდეგ გუნდს დაღმასვლა დაეწყო, ოღონდ ეს დაღმასვლა ტრაგედიად არ ქცეულა. რობერტო ბეტეგა კლუბის დირექტორი გახდა, ხოლო მწვრთნელად მარჩელო ლიპი მიიყვანეს და შეიქმნა 90-იანი წლების „იუვე", რომელმაც 1996 წელს „აიაქსთან" პენალტებით მოიგო ჩემპიონთა ლიგა, თუმცა ორჯერ, „დორტმუნდთან" და „რეალთან" წააგო კიდეც.

დღეს ლიპის მეოთხე ფინალი აქვს.

**პაპუნა ძიძია**



1996 წელი. „იუვენტუსმა" ლიგის ფინალში „აიაქსი" პენალტებით დაჯაბნა, იტალიელებს ერთი გატანილი პენალტით იუგოსლაველი იუგოვიჩიც შეეწია



1994 წელი. „მილანი" — „ბარსელონა" 4:0.
ოთხიდან ერთი გოლი მარსელ დესაიმაც მიითვალა

# რევოლუციონერის შვილობილი

*დღეს „მილანი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში იტალიის ყველაზე წარმატებულ გუნდს, „იუვენტუსს" ხვდება, მაგრამ თუ ქვეყნის ტიტულებს და სხვა ასეთებს თავს დავანებებთ, ანუ მხოლოდ ამ შეჯიბრებაზე ვილაპარაკებთ, აქ მილანელებს ტურინელებთან აშკარა უპირატესობა აქვთ — ხუთჯერ მოუგიათ ჩემპიონთა თასი*

1899 წელს მილანის კრიკეტისა და ფეხბურთის კლუბად დაარსებული „მილანი" 1990-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, არიგო საკისა და ფაბიო კაპელოს ხელში, რევოლუციურ გუნდად გვევლინება. სამჯერ იგებს ჩემპიონთა თასს და საერთაშორისო სატრანსფერო ბაზარზეც დიდ საქმიანობას შლის.

კლუბის პრეზიდენტმა, დღეს იტალიის პრემიერ მინისტრმა, ბიზნესმენმა სილვიო ბერლუსკონიმ „მილანი" 1986 წელს „შეიძინა", იმხანად „შავ-წითელთა" ქომაგები ძირითადად 1950-იანი და 60-იანი წლების მოგონებით იყვნენ გართულნი და გაზეთებში კითხულობდნენ, რომ კლუბს დიდი ვალები დაუგროვდა. ის კი არა, თავგზააბნეული „მილანი" სერია B-შიც კი გავარდა.

ბერლუსკონის კი მოგებები და ჯილდოები სჭირდებოდა, თან ეს ყველაფერი აუცილებლად ლამაზად უნდა ყოფილიყო შესრულებული და ამიტომაც იხმო მწვრთნელად არიგო საკი, რომელსაც ფეხბურთელების შესაძენად დიდძალი ფული მისცა.

საკიმ ჰოლანდიური ტრიო — მარკო ვან ბასტენი, რუუდ გულიტი, ფრანკ რაიკაარდი — იყიდა, რასაც ზურგი ტრადიციული იტალიური ხარისხით, ფრანკო ბარეზითა და პაოლო მალდინით გაუმაგრა.

1989: ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში „მილანი" ანადგურებს „რეალს" 5:0 და ფინალში უგებს ბუქარესტის „სტიაუას" — 4:0.

1990: ჩემპიონთა თასის ფინალში „მილანი" უგებს „ბენფიკას" 1:0.

1994 (ოღონდ აქ მწვრთნელი უკვე ფაბიო კაპელოა): „მილანის" განახლებული გუნდი ზვონიმირ ბობანის, დეიან სავიჩევიჩის, მარსელ დესაის და სხვათა მონაწილეობით „ბარსელონას" 4:0-ს უგებს. ორი გოლის ავტორი დანიელ მასაროა.

საზოგადოდ, „მილანი" ყოველთვის გამოირჩეოდა უცხოელ ვარსკვლავებზე დადგმული თვალით. 1963 წელს იგი გახდა პირველი იტალიური გუნდი, რომელმაც ჩემპიონთა თასი მოიპოვა. მაშინ, ფინალში „შავ-წითლებმა" ეუსებიოს „ბენფიკას" აჯობეს 2:1 და ორივე გოლი ბრაზილიური წარმოშობის თავდამსხმელმა ჟოზე ალტაფინიმ გაიტანა.

სხვათა შორის, იმ დღეს „მილანის" შემადგენლობაში თამაშობდა იტალიის ნაკრების ორი მომავალი მწვრთნელი, ჩეზარე მალდინი და ჯოვანი ტრაპატონი, ხოლო წინ, შეტევაში, ზემოხსენებული ალტაფინის გარდა მთელი იტალიის საყვარელი ფეხბურთელი ჯანი რივერაც ტრიალებდა.

მაშ ასე, ბერლუსკონის რევოლუციაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ საფუძვლიანად ჯერ არაფერი გვითქვამს, 1948-1966 წლების, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ხანაზე, როდესაც „მილანმა" ხუთი სკუდეტო მოიპოვა და მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ჩაცდა მესამე ადგილს.

და ის ხანაც უცხოურ საძირკველზე იდგა. მაშინაც ტრიო იპყრობდა ყველაზე დიდ ყურადღებას, ოღონდ არა ჰოლანდიური, არამედ შვედური — გუნარ გრენი, გუნარ ნორდალი და ნილს ლიდჰოლმი — ეგრეთწოდებული გრე-ნო-ლი.

1969 წელს „შავ-წითლებმა" კიდევ ერთხელ მოიგეს ჩემპიონთა თასი — ფინალში „აიაქსი" დაამარცხა (4:1) რივერა უკვე კაპიტანი გახლდათ, ხოლო ჰეთ თრიქი პიერინო პრატიმ შეასრულა.

1973-ში „მილანს" თასების თასი ხვდა, ფინალში ინგლისურ „ლიდსს" მოუგო, მერე კი 16 წლით დადუმდა.

1990-იანი წლების ბრწყინვალება 95-ში „აიაქსმა" შეწყვიტა, როდესაც ჩემპიონთა თასის მეექვსედ მოგების საშუალება არ მისცა, თუმცა...

ვნახოთ, იქნებ მაშინ ეს მხოლოდ რვა წლით გადაიდო და მეტი არაფერი.

**პაპუნა ძიძია**

# ფიოლერი დაისლერს უფრთხილდება



ბუნდესნაკრები ევრო 2004-ის შესარჩევი მატჩებისთვის მზადებას დღეიდან შეუდგა — 7 ივნისს გერმანელებს გლაზგოში შოტლანდიის ეროვნული გუნდი ელის, ხოლო 11 ივნისს ტორშავნაში ფარერის კუნძულების ნაკრებს ესტუმრებიან.

30 მაისს კი ვოლფსბურგში „ნაციონალმანშაფტი“ კანადას უმასპინძლებს ამხანაგურად — ამ მატჩში არ ითამაშებენ მიუნხენის „ბაიერნისა“ და „კაიზერსლაუტერნის“ სანაკრებო ფეხბურთელები — ისინი 31 მაისს ბერლინში გერმანიის თასისთვის იბრძოლებენ.

გერმანიის ეროვნული ნაკრების დამრიგებელმა რუდი ფიოლერმა შოტლანდია-ფარერებისთვის 23 ფეხბურთელი გამოიძახა — მათგან დებიუტანტი არავინაა. ფიოლერმა ნაკრებში არ უხმო ლევერკუზენელ მცველ იენს ნოვიტნის და ბაიერნელ შუახაზელ სებასტიან დაისლერს — ისინი ტრავმებისგან ახლადგამოჯანმრთელებულები არიან და გარისკვა არ ღირსო. ხოლო იენს ლემანი, კრისტოფ მეცელდერი (ორივე „დორტმუნდი“), დიტმარ ჰამანი („ლივერპული“) და კრისტიან ციგე („ტოტენჰემი“) კვლავაც ტრავმიანები არიან.

*მეკარეები: ოლივერ კანი (ბაიერნი), ფრანკ როსტი (შალკე), ჰანს-იორგ ბუტი (ლევერკუზენი);*

*მცველები: ფრანკ ბაუმანი (ვერდერი), არნე ფრიდრიხი, მიხაელ ჰარტმანი, მარკო რემერი (სამივე ჰერტა), ანდრეას ჰინკელი (შტუტგარტი), ტობიას რაუ (ვოლფსბურგი), კრისტიან ვიორნსი (დორტმუნდი);*

*ნახევარმცველები: მიხაელ ბალაკი, იენს იერემისი (ორივე ბაიერნი), იორგ ბიომე (შალკე), პაულ ფრაიერი (ბოხუმი), ტორსტენ ფრინგსი, სებასტიან კელი (ორივე დორტმუნდი), კარსტენ რამელო, ბერნდ შნაიდერი (ორივე ლევერკუზენი);*

*თავდამსხმელები: ფრედი ბობიჩი (ჰანოვერი), მიროსლავ კლოზე (კაიზერსლაუტერნი), კევინ კურანი (შტუტგარტი), ბენჟამინ ლაუტი (მიუნხენი), ოლივერ ნოივილი (ლევერკუზენი)*



აინტრახტელებმა ბუნდესლიგაში აღზევებით თავადაც გაიხარეს და კლუბის თავკაცობაც გაახარეს

# ბოლო წამებმა ფრანკფურტს ბიუჯეტიც გაუზარდა

თუ „კიოლნმა“ და „ფრაიბურგმა“ მეორედან პირველ ბუნდესლიგაში აღზევება ვადამდე დაიბევს, ფრანკფურტის „აინტრახტმა“ ეს საკითხი ბოლო ტურში გადაწყვიტა — როგორ და რითი შეეგებებიან ეს გუნდები ბუნდესლიგას?

„აინტრახტმა“ და „მაინცმა“ ტოლი ქულები დააგროვეს, მაგრამ ბურთების შეფარდება ფრანკფურტელებს ერთი გოლით უკეთესი აღმოაჩნდათ — ბოლო ტურში „აინტრახტმა“ 6:3 სძლია „როიტლინგენს“ და ბოლო ორი გოლი მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში გაიტანა — ამიტომაც შეიქნა „აინტრახტის“ წარმატება ასე ლაზათიანი.

„აინტრახტი“ ბუნდესლიგის ერთ-ერთი შემქმნელი გახლდათ 1963 წელს და საუკეთესოთაგან მხოლოდ ორჯერ ჩამოქვეითდა მეორე ბუნდესლიგაში. გერმანიის ჩემპიონი „აინტრახტი“ მანამდე 1959 წელს გახდა, ხოლო უეფას თასი 1980 წელს ჩაიხუტა.

ახლა კი კლუბის თავმჯდომარე ფოლკერ სპარმანმა საქვეყნოდ განაცხადა, „აინტრახტის“ ბიუჯეტი ორჯერ გაიზრდებაო — 12 მილიონი ევროდან 24 მილიონამდე.

მეორე ბუნდესლიგის ჩემპიონი „ფრაიბურგი“ იმას ჩივის, რომ ლევან კობიაშვილის გარდა გუნდიდან კიდევ ორი ფეხბურთელი მიდის, თუმც მათი სხვა გუნდში ტრანსფერი ჯერ არ შემდგარა — რუსი ვლადიმირ ბუტი და ფრანგი ადბერ რამდანე.

რაც შეეხება „კიოლნს“, რომელმაც არჩილ არველაძესთან თანამშრომლობის გახანგრძლივება არ ისურვა, სატრანსფერო ციებცხელება ჯერ არ შეჰყრია.

**დავით თავართქილაძე**

# დალევის უფლება და ქიშმიშიანი ფლავი



შტეფან ეფენბერგს ყატარულ ადათ-წესებთან შეგუება მოუწევს

მიდიან და მიდიან. ევროპელი ფეხბურთელები ყატარის შეიხების მილიონებმა ისე მოხიბლეს, რომ უარის თქმას ვერავინ ბედავს. შტეფან ეფენბერგი, მარიო ბასლერი, ფრანკ ლებეფი, თომას ჰესლერი კარიერას არაბულ მოედნებზე გააგრძელებენ.

ყატარში საშინლად ცხელა. ქვეყანაში უმაღლესი წერტილი ზღვის დონიდან ორმოც მეტრზეა. სიცხეში გაგრილების მსურველ გერმანელებს ლუდის წრუპვა უყვართ, მაგრამ ლუდზე ბოდიში. ეფენბერგსა და ბასლერს კათხების მიჭახუნება არ ეშლებათ, თუმცა ამ საქმისგან თავის შეკავება მოუწევთ.

„ბილდის“ კორესპონდენტი ერთ-ერთ გერმანელ მწვრთნელს ესაუბრა, რომელიც ყატარში ცხრა წელიწადი მუშაობდა. მან ფეხბურთელები გააფრთხილა, მაგრამ დაამედა კიდეც: „ყატარში ალკოჰოლური სასმელის შეტანა აკრძალულია და ნებისმიერ ჩამსვლელს საგულდაგულოდ ჩხრეკენ. თუმც უცხოელებს უფლება აქვთ, აიღონ ლიცენზია, რომლის ძალითაც საგანგებო მაღაზიაში სასურველ სითხეს შეიძენენ“.

შტეფან ეფენბერგი „ალ-არაბიში“ ითამაშებს, მარიო ბასლერმა კი „რაიანთან“ გააფორმა კონტრაქტი. გერმანიაში თავისუფლებას მიჩვეულებს მკაცრ რეჟიმთან შეგუება მოუწევთ. აბა, ისლამურ ქვეყანაში ღორის ხორცს ვინ გალირსებს, არადა, მარიო ბასლერს, მისი მეუღლის, ირისის თქმით, ღორის ხორცისგან დამზადებული ძეხვი სიგიჟემდე ჰყვარებია.

ასე რომ, ბიჭები ქიშმიშიან ფლავში ჩაყოფენ თითებს, ოღონდ სანაცვლოდ მწვანეებს მიიღებენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სატონის ტატნობა ერთდღიანი გამოდგა
## სელტიკს ბოდიში მოახდევინეს



კრის სატონი

**„სელტიკის“** შემტევმა კრის სატონმა ტელეკამერების წინ საქვეყნოდ განაცხადა, „დანფერმლაინი“ „რეინჯერსს“ დაუწვა და ამიტომაც მოიგეს მატჩი აიბროქსელებმა 6:1-ით. ეს ამბავი კვირას მოხდა, როცა სქოთური პრემიერლიგის ბოლო ტური ჩამთავრდა და ბურთების უკეთესი სხვაობით ორწლიანი პაუზის შემდეგ „რეინჯერსმა“ „სელტიკს“ ჩემპიონობა წაჰგვარა.

სატონის განცხადებიდან ერთი დღის შემდეგ შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ ამ ფაქტის გამო გამოძიება დაიწყო და ყველას შეახსენა, ჩვენს ჩემპიონატში მონაწილე ნებისმიერი ფეხბურთელის მასმედიისთვის თქმულ ნებისმიერ კომენტარს ვაკვირდებითო.

„სელტიკის“ მენეჯერმა თადარიგი მყისვე დაიჭირა — მარტინ ონილი თავის ფეხბურთელს გადაეფარა — კრისი ნანობს, რომ მისი კომენტარი უსიამოვნო ვითარების ხელშემწყობი გამოდგაო.

გუშინ კი თავად სატონმა მოიხადა ბოდიში — ვწუხვარ, ასე რომ გამოვიდა, უბრალოდ ყველაფერი ცხელ გულზე ვთქვიო.

**დავით თავართქილაძე**

## პორტუგალია

### I ლიგა. XXXIII ტური

**ბოავიშტა 0:1 ლეირია**

0:1 მ. კუნია (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 33 | 26 | 5 | 2 | 71:26 | 83 |
| ბენფიკა | 33 | 22 | 6 | 5 | 70:27 | 72 |
| სპორტინგი | 33 | 17 | 8 | 8 | 52:36 | 59 |
| გიმარაეში | 33 | 14 | 8 | 11 | 47:42 | 50 |
| ლეირია | 33 | 13 | 9 | 11 | 45:44 | 48 |
| ფერეირა | 33 | 12 | 9 | 12 | 40:45 | 45 |
| ჟილ ვისენტე | 33 | 13 | 5 | 15 | 40:49 | 44 |
| მარიტიმუ | 33 | 13 | 5 | 15 | 36:47 | 44 |
| ბელენენსეში | 33 | 11 | 9 | 13 | 46:47 | 42 |
| ბოავიშტა | 33 | 9 | 13 | 11 | 31:31 | 40 |
| ნასიონალი | 33 | 9 | 13 | 11 | 40:45 | 40 |
| ბრაგა | 33 | 8 | 14 | 11 | 34:46 | 38 |
| ბეირა მარი | 33 | 9 | 9 | 15 | 42:50 | 36 |
| მორეირენსე | 33 | 8 | 11 | 14 | 39:46 | 35 |
| ვარზიმი | 33 | 10 | 5 | 18 | 36:49 | 35 |
| აკადემიკა | 33 | 7 | 13 | 13 | 37:48 | 34 |
| სანტა კლარა | 33 | 8 | 10 | 15 | 37:52 | 34 |
| სეტუბალი | 33 | 6 | 12 | 15 | 39:52 | 30 |

## ფინეთი

### IV ტური

**ინტერი 2:4 ჰაკა**

**ლაჰტი 0:0 ჰაამენლინა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 10 |
| ალიანსი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:3 | 10 |
| ტურკუ | 4 | 3 | 0 | 1 | 10:5 | 9 |
| ჰაკა | 4 | 3 | 0 | 1 | 8:3 | 9 |
| ჰიკ | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| იოკერიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:4 | 7 |
| ჰამენლინა | 4 | 1 | 3 | 0 | 5:4 | 6 |
| ტამპერე | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| ჯაზი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:9 | 4 |
| კტპ | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |
| ლაჰტი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |
| იარო | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | 2 |
| კუოპიო | 4 | 0 | 1 | 3 | 5:11 | 1 |
| ინტერი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:12 | 0 |

## ამხანაგური მატჩები

**ლესოტო 2:1 სვაზილენდი**

0:1 მხვანაზი (35), 1:1, 2:1 პოტსე (87, 89)

**აშშ 2:0 უელსი**

1:0 დონოვანი (41), 2:0 ლუისი (59)

## შვედეთი

### VIII ტური

**აიკ 2:0 მალმიო**

**ჰელსინგბორგი 2:1 იურგორდენი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიკ | 8 | 6 | 1 | 1 | 17:6 | 19 |
| იურგორდენი | 8 | 6 | 0 | 2 | 20:3 | 18 |
| ჰამარბი | 7 | 4 | 3 | 0 | 11:5 | 15 |
| ჰელსინგბორგი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:8 | 14 |
| იორებრო | 8 | 4 | 1 | 3 | 13:11 | 13 |
| ჰალმსტადი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:11 | 10 |
| ლანდსკრონა | 7 | 2 | 3 | 2 | 8:7 | 9 |
| მალმიო | 8 | 2 | 3 | 3 | 11:11 | 9 |
| იორგრიტე | 7 | 2 | 2 | 3 | 9:12 | 8 |
| იოსტერი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:12 | 7 |
| გიოტებორგი | 7 | 1 | 3 | 3 | 6:7 | 6 |
| სუნდსვალი | 7 | 1 | 3 | 3 | 6:10 | 6 |
| ელფსბორგი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:13 | 5 |
| ენკოპინგი | 7 | 0 | 1 | 6 | 2:19 | 1 |

## ნორვეგია

### VII ტური

**სტაბეკი 2:1 ბრინი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როსენბორგი | 7 | 7 | 0 | 0 | 19:4 | 21 |
| სოგნდალი | 7 | 4 | 2 | 1 | 13:9 | 14 |
| ვიკინგი | 7 | 3 | 3 | 1 | 14:8 | 12 |
| ბოდიო გლიმტი | 7 | 3 | 3 | 1 | 11:7 | 12 |
| ოდ გრენლანდი | 7 | 4 | 0 | 3 | 12:13 | 12 |
| სტაბეკი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:7 | 11 |
| ლინი | 7 | 2 | 3 | 2 | 12:13 | 9 |
| მოლდე | 7 | 2 | 2 | 3 | 8:9 | 8 |
| ლილესტრიომი | 7 | 2 | 2 | 3 | 6:12 | 8 |
| ბრინი | 7 | 2 | 0 | 5 | 10:13 | 6 |
| ვოლერენგა | 7 | 1 | 3 | 3 | 8:11 | 6 |
| ბრანი | 7 | 1 | 3 | 3 | 7:14 | 6 |
| ტრომსიო | 7 | 1 | 2 | 4 | 12:17 | 5 |
| ალესუნდი | 7 | 0 | 3 | 4 | 9:14 | 3 |

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი
### პლეი ოფი. ფინალი

**შეფილდ იუნ. 0:3 *ვულვერჰემპტონი***

0:1 კენედი (6), 0:2 ნ. ბლეიქი (22), 0:3 კ. მილერი (45)

*„ვულვერჰემპტონი“ ახალი სეზონიდან ითამაშებს პრემიერლიგაში*

# მართალია თუ ჭორია?
## ვინ მოიგონა, ვინ იცის

**გასულ** ხუთშაბათს ინგლისის ნაკრები სამხრეთ აფრიკას ესტუმრა და ამხანაგურ მატჩში სძლია. შეხვედრის მეორე ტაიმში დევიდ ბექემს ხელი მაჯაში მოტყდა და შეცვალეს. ამჯერად მაჯის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, სამაგიეროდ, ერთი მილიონი დოლარის ამბავს გეტყვით.

ბოროტი ენები ამბობენ, თითქოს სამხრეთაფრიკელმა ჩინოვნიკმა დენი იორდაანმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას დევიდ ბექემის ჩაყვანის სანაცვლოდ ფული შესთავაზა. დავაზუსტოთ: დენი იორდაანს ინგლისელებისთვის შეუთვლია, დევიდ ბექემს ჩვენი ნაკრების წინააღმდეგ მატჩში თამაშზე თუ დაითანხმებთ, ერთ მილიონ გირვანქას გაჩუქებთო.

მოკლედ, ისე გამოდის, რომ სამხრეთაფრიკელებისთვის მანჩესტერელის მოედანზე ყოფნა გაცილებით მნიშვნელოვანი ყოფილა, ვიდრე თავად ამხანაგური მატჩი.

ეს რომ გაიგო, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სპიკერი ედრიან ბევინგტონი გაცოფდა: „ამხანაგური მატჩის გამართვაზე რამდენიმე თვის წინ შევთანხმდით და მაშინ არავინ იცოდა, ნაკრებში ვის გამოიძახებდნენ. შეთანხმება რომელიმე კონკრეტული ფეხბურთელის წვევაზე აბსურდია და სისულელე. ეს შეურაცხყოფაა და ჩვენ უკვე მივმართეთ ადვოკატს, რომ ამ საქმეს საფუძვლიანად მიხედოს, რათა ჭორიკნები სათანადოდ დავსაჯოთ“

**ვაჟა ხუციშვილი**



# მამი პატრიკი და მისი ვოიაჟები
## კლუივერტს რეალიც ეპატიჟება



პატრიკ კლუივერტისა და კატალონიის „ბარსელონას“ სამომავლო თანამშრომლობის საქმე ბინდითაა მოცული. ჰოლანდიელი მავრის საფეხბურთო ოსტატობით უკვე რამდენიმე ევროპული გრანდი, მათ შორის „ბარსას“ დაუძინებელი მტერი, მადრიდის „რეალიც“ დაინტერესდა. კლუივერტის აგენტმა სიჯი ლენსმა, ესპანურ „მარკას“ თავის კლიენტზე გულშევარდნილი გუნდები დაუსახელა. ესენი არიან: „მანჩესტერ იუნაიტედი“, მადრიდის „რეალი“ და ოთხი იტალიური კლუბი, რომელთა ვინაობის გამხელასაც პატივცემული ლენსი რატომღაც მოერიდა. კლუივერტისა და „რეალის“ გზები თითქოს ჯერ კიდევ გასულ სეზონში უნდა გადაკვეთილიყო, მაგრამ ჰოლანდიელი ვარსკვლავის მადრიდულ ცთუნებებს მაშინ რონალდოს „ინტერიდან“ გადასვლამ შეუშალა ხელი. ახლა ფლორენტინო პერესი და სამეფო გუნდის სხვა „მონადირენი“ აქტიურად შეეცდებიან პატრიკის გადაბირებას თუ, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელს „ბარსელონასთან“ ძმაკაცობა-თანამშრომლობა აღარ ენდომება.

**ლადო ხომერიკი**

# კაცი წავიდა, კაცი!

**ამ სეზონში** ხელმოცარულმა შვედმა ჰენრიკ ლარსონმა სანაკრებო კარიერა დაასრულა. შვედეთის ნაკრების მწვრთნელებს — ტომი სოდერბერგს და ლარს ლაგერბაკს თავისი გადაწყვეტილების შესახებ „სელტიკის“ ფორვარდმა ოფიციალურად აცნობა. მის ადგილს ეროვნულ გუნდში სავარაუდოდ „ასტონ ვილას“ მეგოლე მარკუს ოლბოკი დაიკავებს, რომელსაც შეტევაში აიაქსელი ზლატან იბრაჰიმოვიჩი დაეხმარება.

ჰენრიკ ლარსონს ჯერ კიდევ შარშან სურდა ნაკრებიდან წასვლა. თუმცა ორი თვის წინ, აპრილში, ევრო 2004-ის შესარჩევ მატჩში უნგრეთის წინააღმდეგ მაინც ითამაშა.

„ლარსონმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. მან გვითხრა, რომ კარიერაში იმ წერტილს მიაღწია, როცა მოტივაცია უკვე სანათლით საძებნი ხდება“ — თქვა ლარს ლაგერბაკმა.

**ვაჟა ხუციშვილი**



ჰენრიკ ლარსონი

*საფრანგეთის ჩემპიონატი დასრულდა. გუნდები უკვე სამომავლოდ ემზადებიან, ვიღაც მიდის, ვიღაც რჩება. ქვემოთ რამდენიმე ფრანგულ გუნდში მომხდარ და მოსალოდნელ ცვლილებებზე გიამბობთ.*

# ფულს მაისურა როგორ ჩავაცვა?
## ანდერსონს ლიონი მოსწყინდა

ჩემპიონით დავიწყოთ. „ლიონი“ ჯერ კიდევ ზეიმობს, სონი ანდერსონმა კი კლუბიდან წასვლა გადაწყვიტა. ბრაზილიელმა საფრანგეთში ოთხი სეზონი გაატარა და 148 მატჩში 71 გოლი მიითვალა. ორჯერ ჩემპიონის ტიტული მოიგო და ახლა სწადია, სხვა ევროპულ ლიგაში მოსინჯოს ძალა. თავიდან „ბარსელონაში“ მის შესაძლო დაბრუნებაზე ლაპარაკობდნენ, რაც ფეხბურთელმა კატეგორიულად უარყო.

„ლიონის“ ბოსები ანდერსონის შემცვლელს ეძებენ. პედრო პაულეტა, ჯოვანი ელბერი, ფერნანდო მორიენტესი, განგამელი დიდიე დროგბა და რენელი ფრედერიკ პიკიონი — აი, მეგოლეთა ნუსხა, რომელთაგანაც ლიონელებს არჩევა მოუწევთ.

ფორვარდის გარდა ჩემპიონებს მცველები და ნახევარმცველებიც სჭირდებათ და კანდიდატთა სიაც საკმაოდ შთამბეჭდავი ჩამოუწერიათ: აიაქსელი ჰატემ ტრაბელსი, სტრასბურელი ჰაბიბ ბეიე, ნანტელი სილვენ არმანი. ნახევარმცველებიდან კი განგამელი ფლორენ მალუდა, ლივერპულელი ბრუნო შეირუ და მადრიდელი სანტიაგო სოლარი.

მეორეადგილოსან „მონაკოს“ მწვრთნელ დიდიე დეშანს არგენტინელი მარსელო გალიარდო გაუწყრა. მან თქვა, დეშანი გუნდში თუ დარჩება, მე წავალო: „ჩვენ ერთმანეთს ვერ გავუგეთ. მას ფეხბურთი ნამდვილად არ ესწავლება, ადამიანებთან ურთიერთობა კი აუცილებლად დასახვეწი აქვს.“

გალიარდო ძირითად შემადგენლობაში იშვიათად თამაშობდა და წყენის მიზეზიც სწორედ ეს გახლავთ. 26 მატჩში თორმეტჯერ შეცვლაზე შევიდა. ამიტომაც აუცრუვდა „მონაკოზე“ გული. არგენტინელმა იანვარში კლუბთან კონტრაქტი 2007 წლამდე კი გაახანგრძლივა, მაგრამ საფრანგეთის საფეხბურთო ლიგის ჩინოვნიკებმა ივე ბათილად ცნეს „მონაკოს“ ბიუჯეტში შექმნილი პრობლემების გამო.

უკვე გადაწყვეტილია, რომ პსჟ-ს მომავალი სეზონიდან ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი უთავკაცებს. ბოსნიელი მწვრთნელი გუნდის გაძლიერებაზე აქტიურად ზრუნავს და პარიზული კლუბის მეპატრონეებს ოსერელი ოლივიე კაპის შეძენაზე ჩამოუგდო სიტყვა. სავარაუდოდ, რონალდინიო პარიზიდან აიბარგება და კაპოც სწორედ მის შემცვლელად მოიხმონ. „ოსერის“ ბოსებმა პსჟ-ს ფეხბურთელის სანაცვლოდ 15 მილიონი ევრო მოითხოვეს, რაც დედაქალაქელებს ძვირად ეჩვენათ. ოლივიე კაპისა და ჯიბრილ სისეს გადაბირება ჟერარ ულიესაც ეწადა. ლივერპულელ ფრანგს გი რუსთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს და იმედი ჰქონდა, რომ მხცოვანი კოლეგა ფეხბურთელების ტრანსფერში დაეხმარებოდა. „ოსერის“ მწვრთნელმა ულიეს საფრანგეთიდან შეუთვალა: „ვიცი, „ლივერპული“ დიდ თანხას გვთავაზობს, მაგრამ ფეხბურთელები რომ გავყიდო, მერე ფულს მაისურა ჩავაცვა და მოედანზე გავიყვანო? ასე არ გამოვა, კაპი და სისე თავად მჭირდება.“

**ვაჟა ხუციშვილი**




სონი ანდერსონი


სამკურნალო გაერთიანება
„ლიგა“
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- ნარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

ეროვნული ბიბლიოთეკა



ადრიანო ისე გაფიცხდა, წითელი ბარათითაც დაამშვიდეს

# მწვრთნელების ცეკვა
## ალენ დელონმა კრუზეირო გააჩერა

### ბრაზილია

**მე-10 ტური:** ატლ. მინეირო — ფლუმინენსე 3:0; კორინთიანსი — ჟუვენტუდე 3:0; პარანა — სან კაეტანო 1:1; ვასკუ და გამა — პონტე პრეტა 1:0; ატლ. პარანენსე — ფლამენგო 4:1; პაისანდუ — კურიტიბა 1:3; გოიასი — კრისიუმა 0:2; გრემიო — სან პაულუ 1:2; გუარანი — ფორტალეზა 2:1; ფიგეირენსე — ბაია 1:0; სანტოსი — ინტერნასიონალი 2:1; ვიტორია — კრუზეირო 2:1

**მთავრობასთან** ჭიდილის და ხანმოკლე გაფიცვის შემდეგ კვლავ განახლდა საერთობრაზილიური ჩემპიონატი. გაფიცვა ავად დაუჯდა „კრუზეიროს", რომელსაც თანერიდან საერთოდ არ წაეგო რაგინდარა შეჯიბრებაში და შესაბამისად, არც მარტში დაწყებულ ბრაზილიის ჩემპიონატში. „კრუზეირო" 36 წაუგებელი მატჩის შემდეგ 1:2 დამარცხდა „ვიტორიასთან", მაგრამ მაინც ცხრილის სათავეში დარჩა. ვანდერლეი ლუშემბურგოს გუნდი 2 ქულით უსწრებს „ინტერნასიონალს", რომელსაც საჭიდაო თამაში ჰქონდა სანტოსში „ვილა ბელმირას" ძველ სტადიონზე და ასევე 1:2 წააგო, თუმცაღა, პირველ ტაიმს ედუ სილვას გოლის წყალობით იგებდა.

ამ მოგებით, „სანტოსი" მესამე ადგილზე აცოცდა და ქულითაც ჩამორჩება „ინტერნასიონალს".

ტურის ყველაზე ხმაურიან თამაშში კი „ატლეტიკო პარანენსემ" 4:1 მოუგო ქვეყნის ყველაზე პოპულარულ კლუბ „ფლამენგოს". ეს იყო მძიმე და ველური მატჩი, რომელშიაც ხუთჯერ გამოჩნდა წითელი ბარათი.

ატლეტიკოელმა ილანმა ჰეთ თრიქი შეასრულა, პირველი ორი გოლი თამაშის პირველ 20 წუთში გაიტანა, მესამე კი ბრწყინვალე გარღვევის შემდეგ მეორე ტაიმის შუაში. ამ სამს შუა ერთი საპასუხო ფერნანდო ბაიანომ შეაგდო. თამაშის ულამაზესი გოლი კი ადრიანომ გაიტანა შორეული დარტყმით.

მატჩი მაშინ აირია, როცა ადრიანომ და მენგოელმა მცველმა ვალდსონმა იჩხუბეს და წითელი ბარათები დაიმსახურეს. ამათ უხეში ილეთისათვის წაგებულთა კაპიტანი ედილსონი მიჰყვა, მერე კი ატლეტიკოელი მცველი კაპონე და ატირსონი შეასკდნენ ერთმანეთს და მსაჯმა ლუსიანო ალმეიდამ ორივე გააძევა. აქვე მოგახსენებთ, რომ მსაჯებს ბრაზილიაში წილისყრით ირჩევენ — ასეთია ახალი კანონი.

„კრუზეიროს" მარცხს მივუბრუნდეთ, და ვთქვათ, რომ ლიდერის გოლები ვიტორიელმა ალაილტონმა და ალენ დელონმა გაიტანეს. ეს ის ალენ დელონი გახლავთ, რომელიც მშობლებს ლამაზ ბავშვად მოეჩვენათ და ალენ დელონიც ამიტომ დაარქვეს. ამავდროულად, ეს ის ალენ დელონია, რომელიც ცოტა ხნის წინ სასწაულით გადაურჩა ქუჩის ყაჩაღის ტყვიას. „კრუზეიროს" დამშამათებელი გოლი კი, ხსენებულმა ალენ დელონმა შემთხვევით გაიტანა — ჯარიმა დაარტყა და ბურთი ხელებს შუა გაუძვრა მეკარე გომესს.

ახლა ახალი კანონის შესახებ, რომლის გამოც კლუბები გაიფიცნენ და რომელიც გვარიან ხარჯებს ადებს მათ: ბილეთის შეკვეთით გაყიდვა, დანომრილი ადგილები, სუფთა ტუალეტები, ყოველ 10 ათას ადგილზე ერთი მეღპუნქტი სტადიონზე, გაყიდული ბილეთების ოდენობის ოფიციალური რეგისტრაცია, საგანგებო შესასვლელები და ა.შ. ამას ვინ გასწვდება?

ამასობაში კი ახალი ძალით იფეთქა მწვრთნელთა მოხსნის ეპიდემიამ, რომელსაც ბრაზილიაში „მწვრთნელების ცეკვას" უწოდებენ. ამ უქმეებზე გადადგა „პაისაიდუს" ურუგვაელი მწვრთნელი დარიო პარეირა, რადგან მისმა გუნდმა შინ წააგო „კურიტიბასთან". „გოიაშს" მოშორდა მწვრთნელი კანდინიო, ხოლო „პარანადან" წავიდა კუკა რადგან აუტსაიდერ „გოიაშში" კანდინიოს ადგილი შესთავაზეს.

მას შემდეგ, რაც ჩემპიონატი დაიწყო, ათი ტურია გასული და რვა მწვრთნელია მოხსნილი. „გოიაშის" მწვრთნელი კანდინიო სამიოდ თვის წინ „ბაიადან" მოისროლეს. „გოიაში" ბოლო ადგილზეა ჩემპიონატში, სამაგიეროდ, ბრაზილიის თასის ნახევარფინალამდე მისულა და იქ „კრუზეიროსთან" წაუგია. კანდინიო ამბობს, რომ მის წინააღმდეგ პრესამ შეთქმულება მოაწყო.

ამაზონური ქალაქის, ბელემის „პაისაიდუ" თავის ისტორიაში პირველად გავიდა ლიბერტადორესის თასზე და იქ მეორე რაუნდს უწია, ამის მიუხედავად, დარიო პარეირა უმუშევრად დარჩა, მის შემცვლელად კი ივ ვორტმანი დაინიშნა. „პაისაიდუ" გავარდნას უნდა გადაურჩეს, ვორტმანი კი ის კაცია, ვისი ხელმძღვანელობითაც, შარშან დიადი „ბოტაფოგო" გავარდა საერთობრაზილიური ჩემპიონატის დაბალ ლიგაში.

### ლუქაუ დუ მოზკაუ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო | 10 | 6 | 3 | 1 | 27:14 | 21 |
| ინტერნასიონალი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:12 | 19 |
| სანტოსი | 10 | 5 | 3 | 2 | 17:9 | 18 |
| სან პაულუ | 10 | 5 | 3 | 2 | 22:19 | 18 |
| ატლ. მინეირო | 10 | 5 | 2 | 3 | 19:13 | 17 |
| კორინთიანსი | 10 | 4 | 4 | 2 | 22:14 | 16 |
| გუარანი | 10 | 4 | 3 | 3 | 17:13 | 15 |
| პარანა | 10 | 4 | 3 | 3 | 16:13 | 15 |
| ვიტორია | 10 | 4 | 3 | 3 | 13:14 | 15 |
| ატლ. პარანენსე | 10 | 4 | 2 | 4 | 18:16 | 14 |
| კურიტიბა | 10 | 4 | 2 | 4 | 14:13 | 14 |
| სან კაეტანო | 10 | 3 | 5 | 2 | 13:12 | 14 |
| ფლამენგო | 10 | 3 | 5 | 2 | 14:14 | 14 |
| ვასკუ და გამა | 10 | 3 | 4 | 3 | 16:17 | 13 |
| ფლუმინენსე | 10 | 3 | 4 | 3 | 11:13 | 13 |
| კრისიუმა | 10 | 3 | 3 | 4 | 13:17 | 12 |
| გრემიო | 10 | 3 | 2 | 5 | 11:13 | 11 |
| ბაია | 10 | 3 | 2 | 5 | 12:15 | 11 |
| ფიგეირენსე | 10 | 2 | 4 | 4 | 11:14 | 10 |
| ჟუვენტუდე | 10 | 1 | 4 | 5 | 8:22 | 10 |
| პონტე პრეტა | 10 | 3 | 4 | 3 | 13:15 | 9 |
| ფორტალეზა | 10 | 2 | 3 | 5 | 8:15 | 9 |
| პაისანდუ | 10 | 2 | 3 | 5 | 18:26 | 9 |
| გოიასი | 10 | 1 | 3 | 6 | 18:22 | 6 |



ხუან პაბლო სორინი

# მძიმე დანაშაული მძიმე მეტალის თანხლებით

„ბარსელონას" არგენტინელ მცველს, ხუან პაბლო სორინს საბოდიშოდ წაუვიდა საქმე. წინა კვირაში ის ერთ-ერთი ვარჯიშისას დაშავდა და უქმეებზე „უელვას" წინააღმდეგაც ვერ ითამაშა.

იმ დღეს, კონკრეტულად კი ოთხშაბათს, ბარსელონაში კონცერტი გამართა არგენტინულმა ჯგუფმა „ბერსიტმა", რომელიც მძიმე მეტალის სტილის მიმდევარია. იმ კონცერტის ჩანაწერი მერე ტელევიზიითაც აჩვენეს და რა გამოჩნდა? სორანი, რომელმაც ტრავმის გამო ერთი საათით ადრე ვარჯიში შეწყვიტა, ესტრადაზე შესული გიჟივით დახტოდა და სცენაზეც კი ავარდა.

აკი დამტვრეულიაო?

„ტრავმას ცეკვაში ხელი არ შეუშლია — განმარტა სორინმა — თორემ გეფიცებით, კონცერტზე საერთოდ არ წავიდოდი. თუმც ამით ჩემი საქციელის გამართლებას არ ვაპირებ. როცა ჩემი თანაგუნდელები ვარჯიშზე ოფლს ღვრიდნენ, გართობაზე არ უნდა მეფიქრა. კლუბის უფროსობას და ბიჭებს უკვე მოვუბოდიშე, ახლა იგივეს გაკეთება ფანებისთვისაც მინდა".

**გიორგი დარჯანია**

# პრეზიდენტის კიდევ ერთი მარცხი

### არგენტინა

#### კლაუსურა

**მე-13 ტური:** ჩაკარიტა — ბოკა ხუნიორსი 0:2; ველესი — ლანუსი 4:0; რივერ პლეიტი — ბანფილდი 2:1; რასინგი — ოლიმპო 0:2; კოლონი — სან ლორენსო 0:1; ტალიერესი — როსარიო სენტრალი 2:2; არსენალი — ნუევა ჩიკაგო 1:1; ოლდ ბოიზი — ხიმნასია 1:1; ესტუდიანტესი — ინდეპენდიენტე 0:0; ურაკანი — უნიონი 0:3

**არგენტინის** ახლადარჩეულ პრეზიდენტ ნესტორ კირხნერს ამ დღეებში ორი უსიამოვნო შეემთხვა, ერთი რომ, ინაუგურაციის წინ ქვა ესროლეს თავში და მეორე, რომ მისმა საყვარელმა კლუბმა „რასინგმა" 0:2 წააგო პატარა „ოლიმპოსთან" და საბოლოოდ დამკვიდრდა კლაუსურას ცხრილის შუაგულში.

ბატონი კირხნერი „აველანედას" მშვენიერ სტადიონზე იყო თავისი გუნდის საქომაგოდ, იქ კი აღარ იყო ოსვალდო არდილესი, „რასინგის" აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი. გუნდში შარშან მისული არდილესი წლეულს ჩემპიონობაზე დებდა თავს და პირველი ტურების მანძილზე ლიდერადაც იყო. არდილესი 10 დღის წინ გადადგა, როცა „რასინგი" ლიბერტადორესის თასიდან გავარდა. „ოლიმპოსთან" მარცხი კი ზედიზედ მეორე საშინაო წაგება გამოდგა.

თამაშის გმირი იყო ოლიმპოელი კრისტიან კასტელიო, რომელმაც მეორე ტაიმის ექვსწუთიან მონაკვეთში დუბლი შეასრულა. ასე რომ, არდილესის შემცვლელ ემილიო კომისოსთვის დებიუტი უიღბლო გამოდგა.

„მოგებულმა კარგად ითამაშა" — თქვა პრეზიდენტმა კირხნერმა, ამ დროს კი „აველანედას" ფანობა გუგუნებდა კლუბისთვის საყვარელ სახელსა და გვარს: „რეინალდო მერლო, რეინალდო მერლო!" სწორედ ამ კაცის ხელქვეით გახდა აპერტურას ჩემპიონი „რასინგი" ორი წლის წინათ.

ცხრილის თავში კი ერთი ამბავია, „ველეს სარსფილდმა" 4:0 მოუგო „ლანუსს" და გოლების უკეთესი სხვაობით უსწრებს „ბოკას", რომელმაც 2:0 მოუგო „ჩაკარიტას". გაიმარჯვა „რივერმაც", რომელიც ქულით ჩამორჩება ამ ორს. ამავდროულად „ბოკაცა" და „რივერიც" ლიბერტადორესის თასის მეოთხედფინალში არიან და ახლო გახლავან იმასთან, რომ ნახევარფინალში გავიდნენ.

### ონორიო გუსტოს დომექი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ველესი | 13 | 10 | 1 | 2 | 23:7 | 31 |
| ბოკა ხუნიორსი | 13 | 10 | 1 | 2 | 22:8 | 31 |
| რივერ პლეიტი | 13 | 9 | 3 | 1 | 27:10 | 30 |
| როსარიო | 13 | 6 | 5 | 2 | 24:16 | 23 |
| ნუევა ჩიკაგო | 13 | 5 | 4 | 4 | 22:20 | 19 |
| ხიმნასია | 13 | 5 | 4 | 4 | 18:20 | 19 |
| ოლიმპო | 13 | 5 | 3 | 5 | 18:15 | 18 |
| რასინგი | 13 | 5 | 3 | 5 | 16:15 | 18 |
| უნიონი | 13 | 4 | 5 | 4 | 17:13 | 17 |
| ოლდ ბოიზი | 13 | 4 | 5 | 4 | 18:20 | 17 |
| ლანუსი | 13 | 5 | 2 | 6 | 16:19 | 17 |
| კოლონი | 13 | 3 | 7 | 3 | 9:9 | 16 |
| ესტუდიანტესი | 13 | 4 | 4 | 5 | 15:16 | 16 |
| სან ლორენსო | 13 | 4 | 4 | 5 | 17:21 | 16 |
| ინდეპენდიენტე | 13 | 3 | 5 | 5 | 11:18 | 14 |
| არსენალი | 13 | 2 | 7 | 4 | 5:9 | 13 |
| ტალიერესი | 13 | 3 | 4 | 6 | 13:18 | 13 |
| ბანფილდი | 13 | 3 | 3 | 7 | 13:19 | 12 |
| ჩაკარიტა | 13 | 2 | 3 | 8 | 8:17 | 9 |
| ურაკანი | 13 | 0 | 3 | 10 | 10:32 | 3 |



პრეზიდენტ ნესტორ კირხნერს ქვა და გოლი ესროლეს

# აფრიკისკენ ჰერი, ჰერი



ბრაზილიელები აფრიკას მშვიდად ესტუმრებიან



კარლოს ალბერტო პარეირა

**ბრაზილიის** ფეხბურთის ფედერაციაში დაადასტურეს, რომ 11 ივნისს (ამ დღეს საქართველოს ნაკრები დუბლინში თამაშობს) პენტაკამპეონები ნიგერიაში ჩავლენ იქაურ „სუპერარწივებთან" ამხანაგურად გასაჯიბრებლად.

ფედერაციაში ისიც თქვეს, ეს უბრალოდ ამხანაგური მატჩი კი არ იქნება, ბოლო საკონტროლო შეხვედრაა საფრანგეთში გასამართი კონფედერაციათა თასის წინო.

მოგეხსენებათ, რაც ბრაზილიის ნაკრები კარლოს ალბერტო პარეირას ჩააბარეს, გუნდს თამაში არ მოუგია. ჩინელებს და მექსიკელებს უგოლო ფრეზე გაუყარნენ, პორტუგალიასთან კი 1:2 წააგეს.

ბრაზილიელები აფრიკის კონტინენტს ბოლოს 1997 წელს დეკემბერში ესტუმრნენ, როცა სამხრეთ აფრიკას 2:1 მოუგეს.

იქამდე ბრაზილიელები კიდევ ექვსჯერ ჩასულან აფრიკაში და გაჯიბრებიან იმაც „ბაფანა ბაფანას" (1996), ალჟირს (1973), ტუნისს (1973), ალჟირს (1965) და ეგვიპტეს 1960 და 63 წლებში.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ


| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია "A". პლეი ოუტი** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 029 | რეჯინა-ატალანტა | 1,95 | 2,9 | 4,2 | 1,16 | 1,33 | 1,71 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXXVI ტური** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 24.00 | 039 | მალიორკა-რაიო | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 00.30 | 040 | რეალი-სელტა | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 20.00 | 041 | რასინგი-ესპანიოლი | 2,05 | 2,7 | 3,6 | 1,16 | 1,3 | 1,54 |
| 21.00 | 042 | დეპორტივო-ატლეტიკო | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 21.00 | 043 | ვალიადოლიდი-ოსასუნა | 2,05 | 2,7 | 3,6 | 1,16 | 1,3 | 1,54 |
| 22.00 | 044 | ვილიარეალი-ბილბაო | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 22.00 | 045 | ალავესი-ბეტისი | 1,9 | 3,4 | 3,5 | 1,21 | 1,23 | 1,72 |
| 22.30 | 046 | ბარსელონა-მალაგა | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 23.00 | 047 | სევილია-უელვა | 1,75 | 3,5 | 4,0 | 1,16 | 1,21 | 1,86 |
| 24.00 | 048 | სოსიედადი-ვალენსია | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 078 | ზვოლე-გრააფსხაპი | 1,75 | 3,5 | 4,0 | 1,16 | 1,21 | 1,86 |
| 17.30 | 079 | უტრეხტი-ტვენტე | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 17.30 | 080 | გრონინგენი-პსვ | 7,0 | 2,9 | 1,6 | 2,05 | 1,3 | 1,03 |
| 17.30 | 081 | ვალვაიკი-ნაიმეგენი | 2,1 | 3,4 | 2,9 | 1,29 | 1,21 | 1,56 |
| 17.30 | 082 | როსენდალი-ბრედა | 3,6 | 3,0 | 1,9 | 1,63 | 1,24 | 1,16 |
| 17.30 | 083 | აიაქსი-ჰერენვენი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 17.30 | 084 | ალკმაარი-ექსელსიორი | 2,0 | 3,4 | 2,5 | 1,25 | 1,11 | 1,44 |
| 17.30 | 085 | ფეიენოორდი-როდა | 1,65 | 3,0 | 5,0 | 1,06 | 1,24 | 1,87 |
| 17.30 | 086 | ვიტესი-ტილბურგი | 1,5 | 4,0 | 5,6 | 1,09 | 1,18 | 2,33 |
| | | **ჩეხეთი. XXX ტური** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 17.25 | 100 | ზლინი-სპარტა | 3,5 | 3,4 | 1,9 | 1,72 | 1,23 | 1,21 |
| 17.25 | 101 | პრჟიბრამი-ლიბერეცი | 3,0 | 3,4 | 2,0 | 1,59 | 1,2 | 1,25 |
| 17.25 | 102 | ბლშანი-ტეპლიცე | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 17.25 | 103 | ჰ.კრალოვე-ბუდეიოვიცე | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 17.25 | 104 | ბოჰემიანსი-სიგმა | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 17.25 | 105 | იაბლონეცი-ბრნო | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| 17.25 | 106 | ჟიჟკოვი-ბანიკი | 1,4 | 4,0 | 5,6 | 1,03 | 1,12 | 2,33 |
| 17.25 | 107 | სიგმა-სლავია | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |
| | | **პოლონეთი. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 108 | კატოვიცე-ამიკა | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.00 | 109 | ლეგია-რუხი | 1,35 | 4,4 | 7,5 | 1,03 | 1,14 | 2,77 |
| 19.00 | 110 | ვისლა-ვიძევი | 1,3 | 4,6 | 8,0 | 1,01 | 1,11 | 2,92 |
| 19.00 | 111 | გროცლინი-ზაგლებე | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.00 | 112 | ოდრა-პოლონია | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 19.00 | 113 | გურნიკი-ლეხი | 2,2 | 3,4 | 2,2 | 1,33 | 1,1 | 1,33 |
| | | **თურქეთი. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | **30 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 116 | გალათასარაი-გაზიანთეფი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 117 | ქოჯაელი-ადანა | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 18.30 | 118 | ისთანბული-ალთაი | 2,2 | 3,8 | 1,75 | 1,39 | 1 | 1,19 |
| 18.30 | 119 | ანკარაგუჯუ-დენიზლი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 18.30 | 120 | დიარბაქირი-ელაზიგი | 2,0 | 3,1 | 2,2 | 1,21 | 1,04 | 1,28 |
| 18.30 | 121 | ბურსა-გენჩლერბირლიგი | 1,7 | 3,6 | 3,3 | 1,15 | 1,12 | 1,72 |
| 21.00 | 122 | სამსუნი-ბეშიქთაში | 3,1 | 3,5 | 1,9 | 1,64 | 1,17 | 1,23 |
| | | **დანია. XXX ტური** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 125 | ორჰუსი-ფარუმი | 2,15 | 3,4 | 3,0 | 1,31 | 1,25 | 1,59 |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 18.00 | 126 | ოლბორგი-კიოგე | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 18.00 | 127 | ესბიერგი-მიდტიულანდი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.00 | 128 | აკადემისკი-სილკებორგი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 18.00 | 129 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 20.35 | 130 | ვიბორგი-ბრიონდბიუ | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| | | **ავსტრია. XXXVI ტური** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 131 | ავსტრია-ბრეგენცი | 1,6 | 4,0 | 3,2 | 1,14 | 1,06 | 1,77 |
| 18.30 | 132 | კერნტენი-გრაცერი | 6,0 | 4,0 | 1,4 | 2,4 | 1,13 | 1,03 |
| 18.30 | 133 | რიდი-ადმირა | 1,25 | 4,0 | 7,0 | 1 | 1,06 | 2,54 |
| 18.30 | 134 | ზალცბურგი-პაშინგი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 18.30 | 135 | შტურმი-რაპიდი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| | | **შვეიცარია** | | | | | | |
| | | **A ჯგუფი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 23.15 | 136 | ციურიხი-სერვეტი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 23.15 | 137 | ვილი-თუნი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 23.15 | 138 | ბაზელი-ქსამაქსი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 23.15 | 139 | იანგ ბოისი-გრასჰოპერი | 5,3 | 3,8 | 1,55 | 2,21 | 1,19 | 1,1 |
| | | **შვეიცარია** | | | | | | |
| | | **A/B ჯგუფი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 19.15 | 140 | ვადუცი-კრიენსი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.15 | 141 | ლუცერნი-სტ.გალენი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.15 | 142 | სიონი-აარაუ | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 21.30 | 143 | ლოზანა-ვინტერთური | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| | | **30 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 144 | ბადენი-კონკორდია | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 20.30 | 145 | შაფჰაუზენი-ივერდონი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 20.30 | 146 | ვოლენი-ბელინცონა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1.8 |
| | | **შვედეთი. VIII ტური** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 21.30 | 158 | ჰალმსტადი-ელფსბორგი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| | | **ნორვეგია. VIII ტური** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 169 | ვიკინგი-სოგნდალი | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| 22.00 | 170 | როზენბორგი-ლილესტრიომი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 171 | როზენბორგი-ლილესტრიომი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 172 | ტრომსიო-სტაბეკი | 2,35 | 3,4 | 2,6 | 1,38 | 1,23 | 1,47 |
| 21.00 | 173 | ალესუნდი-ოდ გრენლანდი | 2,8 | 3,4 | 2,25 | 1,53 | 1,24 | 1,35 |
| 21.00 | 174 | ბრინი-ლინი | 2,25 | 3,5 | 2,7 | 1,36 | 1,22 | 1,52 |
| 21.00 | 175 | ბრანი-ბოდიო გლიმტი | 2,25 | 3,4 | 2,8 | 1,35 | 1,24 | 1,53 |
| 23.00 | 176 | ვოლერენგა-მოლდე | 2,3 | 3,4 | 2,7 | 1,37 | 1,24 | 1,5 |
| | | **ფინეთი. V ტური** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 20.30 | 187 | ჰკ-მიუპა | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 20.30 | 188 | ჰაამეენლინა-ალიანსი | 3,2 | 3,2 | 2,15 | 1,6 | 1,28 | 1,28 |
| 20.30 | 189 | ინტერი-იარო | 1,75 | 3,4 | 4,6 | 1,15 | 1,26 | 1,95 |
| 20.30 | 190 | კტპ-ჯაზი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 20.30 | 191 | კუოპიო-ჰკა | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |
| 20.30 | 192 | ლაჰტი-ოიკერიტი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 20.30 | 193 | ტამპერე-ტურკუ | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. თასი. ფინალი (ბერლინში)** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 204 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 4,8 | 3,5 | 1,65 | 2,02 | 1,22 | 1,12 |
| | | **იტალია. თასი. ფინალი. II მატჩი** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 205 | მილანი-რომა | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| | | **საფრანგეთი. თასი. ფინალი (პარიზში)** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 206 | ოსერი-პსჟ | 3,0 | 3,0 | 2,35 | 1,5 | 1,31 | 1,31 |
| | | **ჰოლანდია. თასი. ფინალი (როტერდამში)** | | | | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 207 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | **ბელგია. თასი. ფინალი (ბრიუსელში)** | | | | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 18.00 | 208 | სტ.ტრუიდენი-ლუვიე | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| | | **შოტლანდია. თასი. ფინალი (გლაზგოში)** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 210 | დანდი-რეინჯერსი | 9,0 | 4,6 | 1,3 | 3,04 | 1,13 | 1,01 |
| | | **დანია. თასი. ფინალი (კოპენჰაგენში)** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 211 | ბრიონდბიუ-მიდტიულანდი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ავსტრია. თასი. ფინალი** | | | | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 19.15 | 212 | აუსტრია-კერნტენი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა. ფინალი (მანჩესტერში)** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 213 | იუვენტუსი-მილანი | 2,6 | 3,0 | 2,9 | 1,39 | 1,37 | 1,47 |
| | | **ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 03.10 | 215 | ბოკა ხუნიორსი-კობრელოა | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 05.40 | 216 | სანტოსი-კრუს ასული | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 05.40 | 217 | ინდეპენდიენტე-გრემიო | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 15.00 | 219 | იაპონია-კორეა | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 220 | გერმანია-კანადა | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 620 | ესტუდიანტესი-აუნკაბლე | 1,2 | 12,0 | 3,5 | 1,09 | 1 | 2,7 |
| 00.15 | 621 | ვალენსია-ხუვენტუდი | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |
| 00.30 | 622 | უნიკახა-ტაუ | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| | | **30 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 623 | ბარსელონა-ალიკანტე | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |

# კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 2001 | იუვენტუსი-მილანი | 3.1 | 2.0 | 3.3 | | | |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 2002 | რეჯინა-ატალანტა | 2.35 | 2.0 | 4.8 | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 2003 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 5,0 | 2.25 | 2.05 | | | |
| 23.45 | 2004 | მილანი-რომა | 2,8 | 2,0 | 3,6 | | | |
| 23.45 | 2005 | ოსერი-პსჟ | 3,5 | 2,0 | 2,9 | | | |
| 19.00 | 2006 | დანდი-რეინჯერსი | 9,0 | 3,1 | 1.45 | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 24.00 | 2007 | სოსიედადი-ვალენსია | 2,25 | 2,05 | 5,0 | | | |
| 21.00 | 2008 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1,85 | 2,3 | 6,0 | | | |
| 19.00 | 2009 | სტ.ტრუიდენი-ლუვიე | 2,15 | 2,15 | 5,0 | | | |

**თასის აღება**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **28 მაისი** | | |
| 23.45 | 1002 | იუვენტუსი-მილანი | 1,7 | 1,9 |
| | | **29 მაისი** | | |
| 18.00 | 1003 | ბრიონდბიუ-მიდტიულანდი | 1,35 | 2,6 |
| | | **31 მაისი** | | |
| 22.30 | 1004 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 3,1 | 1,25 |
| 23.45 | 1005 | ოსერი-პსჟ | 1,95 | 1,65 |
| 19.00 | 1006 | დანდი-რეინჯერსი | 5,0 | 1,1 |
| | | **1 ივნისი** | | |
| 21.00 | 1007 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1,2 | 3,5 |
| 18.00 | 1008 | სტ.ტრუიდენი-ლუვიე | 1,35 | 2,6 |
| 19.15 | 1009 | აუსტრია-კერნტენი | 1,2 | 3,5 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **28 მაისი** | | |
| 23.45 | 2201 | იუვენტუსი-მილანი | 1,65 | 1,95 |
| | | **29 მაისი** | | |
| 23.30 | 2202 | რეჯინა-ატალანტა | 1,7 | 1,9 |
| | | **31 მაისი** | | |
| 22.30 | 2203 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 1,9 | 1,7 |
| 23.45 | 2204 | მილანი-რომა | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | 2205 | ოსერი-პსჟ | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2206 | დანდი-რეინჯერსი | 2,1 | 1,55 |
| | | **1 ივნისი** | | |
| 24.00 | 2207 | სოსიედადი-ვალენსია | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2208 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 2,0 | 1,6 |
| 19.00 | 2209 | სტ.ტრუიდენი-ლუვიე | 2,1 | 1,55 |

# ფორმულა 1. მონაკო. 1 ივნისი (23.45)

| 4001 გამარჯვებული | სამეული | ექვსეული | 4002 უსწრ. წრე | 4301 გამარჯვებული გუნდი | |
|---|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი -------- 1,5 | 4101 ------ 1,15 | 4201 ----- 1,1 | 1,8 | | |
| ბარიკელო -------- 5,0 | 4102 ------ 1,55 | 4202 ----- 1,2 | 3,4 | | |
| რაიკონენი -------- 8,0 | 4103 ------- 1,8 | 4203 --- 1,25 | 4,4 | ფერარი | 1,45 |
| კულტჰარდი ----- 9,0 | 4104 ------- 1,9 | 4204 --- 1,25 | 6,0 | მაკლარენი | 2,7 |
| მონტოია -------- 12,0 | 4105 ------- 3,3 | 4205 ----- 1,3 | 4,0 | უილიამსი | 5,0 |
| რ.შუმახერი ---- 15,0 | 4106 ------- 3,3 | 4206 ----- 1,3 | 9,0 | რენო | 15,0 |
| ალონსო -------- 20,0 | 4107 ------- 3,3 | 4207 ----- 1,4 | 20,0 | ზაუბერი | 30,0 |
| ტრული --------- 30,0 | 4108 ------- 5,6 | 4208 ----- 1,7 | 30,0 | ბარ | 40,0 |
| ბატონი ---------- 75,0 | 4109 ------ 15,0 | 4209 ----- 2,2 | 100,0 | ტოიოტა | 50,0 |
| ფრენცენი ------ 75,0 | 4110 ------ 15,0 | 4210 ----- 3,0 | 100,0 | ჯორდანი | 30,0 |
| ჰაიდფელდი ---- 75,0 | 4111 ------ 15,0 | 4211 ----- 3,0 | 100,0 | იაგუარი | 50,0 |
| ვილნევი -------- 75,0 | 4112 ------ 15,0 | 4212 ----- 3,0 | 100,0 | მინარდი | 150,0 |
| ფიზიკელა ------- 75,0 | 4113 ------ 15,0 | 4213 ----- 3,0 | 100,0 | | |
| პანისი ------- 75,0 | 4114 ------ 15,0 | 4214 ----- 3,0 | 100,0 | | |
| ვებერი ------- 75,0 | 4115 ------ 15,0 | 4215 ----- 3,0 | 100,0 | | |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **28 მაისი** | | |
| 23.45 | 2401 | იუვენტუსი-მილანი | 1,9 | 1,9 |
| | | **29 მაისი** | | |
| 23.30 | 2402 | რეჯინა-ატალანტა | 1,6 | 2,4 |
| | | **31 მაისი** | | |
| 22.30 | 2403 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 3,4 | 1,3 |
| 23.45 | 2404 | მილანი-რომა | 1,8 | 2,0 |
| 23.45 | 2405 | ოსერი-პსჟ | 2,0 | 1,8 |
| 19.00 | 2406 | დანდი-რეინჯერსი | 4,4 | 1,15 |
| | | **1 ივნისი** | | |
| 24.00 | 2407 | სოსიედადი-ვალენსია | 1,5 | 2,6 |
| 21.00 | 2408 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1,2 | 4,0 |
| 19.00 | 2409 | სტ.ტრუიდენი-ლუვიე | 1,4 | 3,0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 მაისი** | | | |
| 23.45 | 2501 | იუვენტუსი-მილანი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| | | **29 მაისი** | | | |
| 23.30 | 2502 | რეჯინა-ატალანტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **31 მაისი** | | | |
| 22.30 | 2503 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2504 | მილანი-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2505 | ოსერი-პსჟ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2506 | დანდი-რეინჯერსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **1 ივნისი** | | | |
| 24.00 | 2507 | სოსიედადი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2508 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2509 | სტ.ტრუიდენი-ლუვიე | 3,0 | 2,8 | 2,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **28 მაისი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 2101 | იუვენტუსი-მილანი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,2 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| | | **29 მაისი** | | | | | | | | | |
| 23.30 | 2102 | რეჯინა-ატალანტა | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,2 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| | | **31 მაისი** | | | | | | | | | |
| 22.30 | 2103 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 23.45 | 2104 | მილანი-რომა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 23.45 | 2105 | ოსერი-პსჟ | 4,6 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 19.00 | 2106 | დანდი-რეინჯერსი | 15,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 5,3 | 3,4 | 30,0 | 15,0 | 1,55 |
| | | **1 ივნისი** | | | | | | | | | |
| 24.00 | 2107 | სოსიედადი-ვალენსია | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,6 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 21.00 | 2108 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 2,1 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 19.00 | 2109 | სტ.ტრუიდენი-ლუვიე | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **28 მაისი** | | |
| 23.45 | 2301 | იუვენტუსი-მილანი | 1,75 | 1,85 |
| | | **29 მაისი** | | |
| 23.30 | 2302 | რეჯინა-ატალანტა | 1,8 | 1,8 |
| | | **31 მაისი** | | |
| 22.30 | 2303 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 1,75 | 1,85 |
| 23.45 | 2304 | მილანი-რომა | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2305 | ოსერი-პსჟ | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2306 | დანდი-რეინჯერსი | 1,9 | 1,7 |
| | | **1 ივნისი** | | |
| 24.00 | 2307 | სოსიედადი-ვალენსია | 1,75 | 1,85 |
| 21.00 | 2308 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1,8 | 1.8 |
| 19.00 | 2309 | სტ.ტრუიდენი-ლუვიე | 1,7 | 1,9 |

საქართველოს 12 ჩემპიონატი

# საქართველოს ჩემპიონატი

## პლეი ოფი. ფინალი სამ მოგებამდე

# ფინალის ფინალი

## დინამომ ბასკო თბილისში ჩამოიყვანა

### დინამო 2:2 ბასკო

27 მაისი. ბათუმი

**ბასკო 79:87 დინამო**

ბასკო: ბაბიაშვილი (7), შენგელია (15), წოწელია (11), ნიკოლაძე (10), ცინცაძე (20), კეშელავა (5), ქარაბაკი (7), კეიდია (4), როდუმტა

დინამო: აბრამიძე (4), ხოშტარია (23), ბეჟანიშვილი (6), თორთლაძე (7), მინაშვილი (13), სიროვინა, ოგანესიანი (8), ვენსკუნასი (14), ჩუბინიძე, ჩხეიძე (12)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი; კომისარი: როლანდ გელოვანი



თბილისელთაგან ირაკლი ხოშტარია გამოირჩა

„დინამომ" თბილისში დაკარგული ბათუმში დაიბრუნა. ლაპარაკია მოედნის უპირატესობაზე, რომელიც დინამოელებმა ფინალური სერიის პირველი თამაშის წაგებით „ბასკოს" გადაულოცეს. ახლა თბილისელებმა სამგზის ჩემპიონ ბათუმელებს აჭარაში ერთი გამარჯვება აართვეს და საქმე მეხუთე მატჩამდე მიიყვანეს. მეხუთე და გადამწყვეტი შეხლა კი 30 მაისს სპორტის სასახლეში, ანუ „დინმოს" მოედანზე შედგება.

ახლა, როცა ჩემპიონის გამოსავლენად ერთი თამაშილა რჩება, შეიძლება ვთქვათ, რომ შანსები ორივე ფინალისტს თანაბარი აქვს. თუმცა კი შევნიშნოთ, რომ ჩემპიონატშიც და ფინალშიც უმრავლესობისგან ფავორიტად აღიარებულმა „დინამომ" უკვე ორჯერ გამოსცადა მღელვარება. ფინალურ სერიაში, რომელმაც სპორტული ინტერესი დასასრულისკენ თუ შეიძინა — მღევრებს, როგორც წესი, არ ულხინთ. ამა თუ იმ კონკრეტულ თამაშში თუნდაც რამდენიმე ქულით ჩამორჩენილი გუნდისთვის გადაუჭრელ პრობლემად იქცა უპირატესობის დაბრუნება. ამდენად, თუ ბოლო შეხვედრაც ოთხი წინას იდენტური სცენარით წარიმართა, გადამწყვეტ მნიშვნელობას შეიძენს მატჩის დებიუტი. ორივე გუნდი შეეცდება, პირველივე ტაიმში მოიპოვოს უპირატესობა, მანამდე კი, რაც მთავარია, საფუძვლიანად მოემზადოს ბოლო ჯახისთვის.

გუნდებს ყველაფრის გადასახედ-გასაანალიზებლად ორი თავისუფალი დღე აქვთ და უეჭველია, მუშაობაში გალევენ ამ ვადას. ბევრი რამ, მწვრთნელებზეა დამოკიდებული. მაშასადამე დრაჟენ ბრაიკოვიჩი ნუგზარ კანდელაკის წინააღმდეგ.

ნუგზარ კანდელაკმა უკვე სრულად დაამტკიცა, რომ დილეტანტი არაა და თავისი საქმე შესანიშნავად იცის. მწვრთნელობაში არ მოიკოჭლებს „დინამოს" ხორვატი თავკაცი დრაჟენ ბრაიკოვიჩიც, ეგაა, ენობრივი ბარიერის გამო უჭირს თავისი ნააზრევის შეგირდებამდე სრულად მიტანა. მით უფრო, გახურებული თამაშისას. ამდენად იგი შეეცდება, მოთამაშეებს მატჩამდე უთხრას ყველაფერი, რისი თქმაც შეიძლება.

რაღა თქმა უნდა, ბევრია დამოკიდებული მოთამაშეებზე. წაუვა დინამოელ ირაკლი ხოშტარიას თამაში, ხოლო ვაკო ბეჟანიშვილის შორი სროლები? რამდენ ქულას დააგროვებს ბათუმელი ლევან ქარაბაკი? „ბასკოს" ყმაწვილი გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე შეძლებს ისე თამაშს, როგორც წინა მატჩებში? ცინცაძე 17 წლის ასაკში უკვე ჩამოყალიბებული კალათბურთელია და დამაჯერებლად უძღვება „ბასკოს" შეტევებს. პასიც იცის და ქულათა დაგროვებაც ეხერხება.

მეოთხე თამაშშიც ცინცაძე საუკეთესო იყო თავისიანებში, მასპინძელთა შეტევებიც დაალაგა და ქულებიც საკმაოდ მოაგროვა. ეგაა, მისმა გუნდმა თავიდანვე დათმო უპირატესობა და მერე მთელი თამაში ამაოდ ცდილობდა მის დაბრუნებას.

„დინამო" პირველივე წუთებში დაწინაურდა. „ბასკომ" მეტოქეს მხოლოდ მესამე მეოთხედის დასაწყისში დაათმობინა ლიდერობა. ლევან ქარაბაკის ორი საჯარიმოს შემდეგ მასპინძლები 44:43 გავიდნენ წინ. „ბასკო" ოდნავ მოგვიანებით ცინცაძის სამქულიანის შემდეგ ერთხელაც დაწინაურდა — 49:48, მაგრამ სტუმრებმა მალევე დაიბრუნეს ჯერ სათამაშო და შემდეგ საანგარიშო უპირატესობა და ბოლომდე აღარ გაუშვეს ხელიდან.

**ირაკლი ფირაშვილი**



„ბასკოს" ჭაბუკი ლიდერი გიორგი ცინცაძე

---

*მთავარ მწვრთნელთა მაძებართა რიგებს ამ დღეებში ნბა-ს კიდევ ორი გუნდი მიემატა — გამოცდილი თავკაცები დაკარგეს „ფილადელფია სიქსერზმა" და „ჰიუსტონ როკიტსმა". 62 წლის ლარი ბრაუნი „სიქსერზში" გატარებული 6 სრული სეზონის შემდეგ საკუთარი ნებით გადადგა, 54 წლის რუდი ტომიანოვიჩმა კი, რომელმაც 12 წელიწადი იმუშავა „ჰიუსტონის" მთავარ მწვრთნელად, თანამდებობრივი დაქვეითება ითხოვა. ბრაუნიცა და ტომიანოვიჩიც დამსახურებული მწვრთნელები არიან და მათი ამბავი ორიოდ აბზაცით გამოხმაურებას იმსახურებს*

# ფიქრით დაღლილები ფიქრის დროს ითხოვენ

## ლარის დევალვაცია

**ლარი ბრაუნი**, ასე ვთქვათ, მოგზაურ მწვრთნელთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგრამ პრინციპულად განსხვავდება ამ კატეგორიის სპეციალისტთა ძირითადი მასისაგან. მოგზაური მწვრთნელები, იძულებით მოგზაურობენ, ერთ გუნდიდან გაშვებულები მეორეს ეძებენ და ასე შემდეგ. ბრაუნს კი, როგორც წესი, არავინ აგდებს, პირიქით, დარჩენას სთხოვენ, მაგრამ მას გული სხვაგან მიუწევს. სამუშაო ატმოსფეროსა და ვითარების შეცვლა უნდა.

„ფილადელფიამდე" ბრაუნს ნბა-ს ხუთ კლუბში, აგრეთვე 70-იანი წლების მეორე მძლავრ ლიგაში, აბა-შიც უმუშავია და „ფილადელფიასავით" დიდხანს არც ერთ გუნდს არ შერჩენია. „სიქსერზში" გატარებულ ექვს სეზონში ბრაუნმა 255 გამარჯვება და 205 წაგება დააგროვა და ეს გუნდი ხუთჯერ გაიყვანა პლეი ოფში. ბრაუნისთვის საუკეთესოდ ჩაითვლება 2000-01 წლების სეზონი. მაშინ მან „ფილადელფია" ბოლო 18 წელიწადში პირველად გაიყვანა პლეი ოფის ფინალში. ბრაუნიც სწორედ მაშინ დაასახელეს სეზონის საუკეთესო მწვრთნელად.

ლარი ბრაუნის ხელში გამოიზარდა ალენ აივერსონი. „ფილადელფიაში" თავისი პირველი და ქარაფშუტული სეზონის შემდეგ, როცა ამ გუნდს მწვრთნელად სწორედ ბრაუნი დაუნიშნეს, აივერსონმა თქვა, სწორედ ასეთი მკაცრი მეთვალყურე მჭირდება, როგორიც ეს ძიაკაციაო. მკაცრ მეთვალყურეს და ჭირვეულ შეგირდს ერთმანეთთან ხშირად მოსვლიათ უთანხმოება. ბრაუნს აღიზიანებდა აივერსონის უსიამოვნებებისაკენ ლტოლვა მოედანს გარეთ და თავნებობა მოედანზე, აივერსონს კი — გამუდმებული კონტროლი და ჩარჩოები. თუმც მათ მაინც გამონახეს საერთო ენა და ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ „ფილადელფია" ძლიერებში დააბრუნეს.

ბრაუნი ახლა აღარაა აივერსონისა და მისი თანაგუნდელების მწვრთნელი და მისი მოთამაშეები ერთგვარი სინანულით აცილებენ მას. „ლარისთან შეგუება იოლი საქმე არაა — ამბობს „სიქსერზის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე აარონ მაკკი — რადგან ის ყოველთვის ისე გიდგება, როგორც სკოლის მოსწავლეს. ამას ყველა ბიჭი მშვიდად ვერ შეხვდება, მაგრამ აბსოლუტურად ყველა ხვდება, რა დიდებული მწვრთნელიცაა. მის გვერდით გატარებული ერთი წლის შემდეგ ჩვენ ყველანი უკვე სულ სხვაგვარად ვუყურებდით კალათბურთს და საკუთარ თავს."

გამორჩეული სპეციალისტი რომ არ იყოს, ამერიკის ნაკრებს არ ჩააბარებდნენ. ლარი ბრაუნი იმ ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახლავთ, რომელმაც 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე ღირსება უნდა აღუდგინოს შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე შერცხვენილ ნბა-ელებს.



ლარი ბრაუნი

ათენამდე რა საქმეს მოჰკიდებს ხელს, ეს ჯერ არ იცის. ნბა-ს რამდენიმე გუნდის თავკაცის სკამი თავისუფალია და ბრაუნს სიამოვნებით მიიწვევენ ნებისმიერში, მაგრამ თავად ჯერჯერობით არც ერთი კლუბის დესპანს არ ეუბნება თანხმობას. ნბა-ს გარდა უნივერსიტეტის გუნდების კანდიდატურებსაც არჩევს, ამბობს, სამუშაოს გააჩნიაო და მგონი, ისეთ ტალღაზე მოექცა, სკოლის გუნდის გაძღოლაზეც არ იტყოდა უარს. „მე და ჩემი ცოლი შელი, დავსხდებით და მოვილაპარაკებთ. ჯერ კი მხოლოდ ვიცდი, ერთგვარად ვამოწმებ ჩემს თავს, გულს ვუსმენ" — ამბობს ბრაუნი.

**მალხაზ ჭუმბურიძე**



რუდი ტომიანოვიჩი

## ჯანმრთელობის გაუარესების გამო...

**რუდი ტომიანოვიჩი** ლარი ბრაუნისგან სავსებით განსხვავებული ტიპია. ის ნაკლებად მკაცრია და ლოიალურად ექცევა მოთამაშეებს, მეტ თავისუფლებას აძლევს მოედანზე, თუმც ეს, იმას არ გულისხმობს, რომ რუდი ცუდი მწვრთნელია. პირიქით, საკმაოდ კარგი სპეციალისტის სახელი დაუგდია და არაერთი გუნდი მიიწვევდა. თუმც მას არავინ ეპატიჟება, ყველამ იცის, რომ რუდი ტომიანოვიჩი „ჰიუსტონის" ერთგულია. ახლაც კი გადადგა, მაგრამ სხვაგან არ დაუწყია თვალების ცეცება, „როკიტსის" გენერალურ მენეჯერ კარლ დოუსონს სთხოვა, თუ მოახერხებ, აქვე კლუბში რაიმე „მეორე თანრიგის" სამუშაო გამოიძებნეო.

ტომიანოვიჩი უკვე 32 წელია, ჰიუსტონს ახმარს თავის ინტელექტსა და ძალას. მას შემდეგ, რაც 1970 წლის დრაფტზე „როკიტსმა" მეორე ნომრად აირჩია მიჩიგანის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, 202-სანტიმეტრიანი ტომიანოვიჩი, მას სხვა კლუბისკენ არ გაუხედავს. 11 წელი თამაშობდა „როკიტსში" და მართალია, სუპერვარსკვლავი არ ყოფილა, გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახლდათ და 5-ჯერ ყველა ვარსკვლავის მატჩიც ითამაშა. მან „ჰიუსტონის" მაისურა თითქმის 800 თამაშში მოირგო და კარიერა დაასრულა ამ მატჩებში საშუალოდ მოგროვილი 17,4 ქულითა და 8,1 მოხსნით.

ბევრი ფიქრობს, რომ ტომიანოვიჩი გაცილებით მეტს მიაღწევდა, ერთ არცთუ მშვენიერ დღეს მოედანზე საშინელი რამ არ შემთხვეოდა. 1977 წელს „ლეიკერსთან" შეხვედრაში ჯანიანმა მეტოქემ კერმიტ ვაშინგტონმა რუდის საშინელი ძალით ჩასცხო მუშტი სახეში. ტომიანოვიჩი ამ დარტყმამ ჰაერში შეისროლა და პირდაპირ სახით დაანარცხა იატაკს. მხილველებს 25 წლის შემდეგაც ძრწოლვის ჟრუანტელი უვლით ტანში, როცა ამ ეპიზოდს იხსენებენ. ტომიანოვიჩმა სხვისი დახმარებითაც კი ძლივს შეძლო სახე ფიცარნაგისთვის აეცილებინა, რამდენჯერმე დაკარგა გონი. ექიმებმა თავის ქალის ათზე მეტი მოტეხილობა აღურიცხეს. სახის ძვალი და რბილი გაერთიანებული ჰქონდა, ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით. ექიმებმა, შეიძლება ვერ გადარჩესო...

გარადჩა, პლასტმასის ნიღაბი მოირგო და მოედანზეც დაბრუნდა, მაგრამ...

კალათბურთის თამაში რომ მიატოვა, „ჰიუსტონში" დარჩა. ჯერ სკაუტად მუშაობდა, შემდეგ მთავარი მწვრთნელის ასისტენტად. ხოლო როცა 1992 წელს გუნდს კრიზისი ედგა, მაშინ სარისკო მთავარი მწვრთნელის თანამდებობას არ გაექცა. ტომიანოვიჩის მწვრთნელობის ხანა „ჰიუსტონისთვის" ოქროს ხანაა. „რაკეტები" 1994 წელს კლუბის ისტორიაში პირველად გაჩემპიონდნენ და შემდეგ მომდევნო სეზონშიც შეინარჩუნეს ტახტი. 2000 წელს ტომიანოვიჩმა სიდნეის ოლიმპიადაც მოაგებინა ქვეყნის ნაკრებს.

რამდენიმე თვის წინ ტომიანოვიჩს ექიმებმა შარდის ბუშტის კიბო აღმოუჩინეს, საბედნიეროდ, საწყის სტადიაში, როცა დაავადება მკურნალობას ექვემდებარება. ამის გამო ტომიანოვიჩს ბოლო 17 თამაშის გამოტოვებამ მოუწია. ცხადია, შერყეული ჯანმრთელობის გამოც გადადგა „რაკეტების" სახელოვანი თავკაცი. ამ რამდენიმე წლის წინ მან ალკოჰოლიზმის მკურნალობის კურსიც გაიარა.

გადადგა, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, შორს არ წასულა. ახლა ის და გუნდის ხელმძღვანელები დასხდებიან და ერთად მოძებნიან „რაკეტების" ახალ მიზანმიმართველს. და ამ თანამდებობას უეჭველად ლარი ბრაუნსაც შესთავაზებენ.

**კოტე ყორშია**

## როლან გაროსი 2003 საპრიზო 13 044 055 ევრო

# სიყვარულში ცრემლის დენას ოფლის დენა სჯობს



სერხიო როიტმანი



ალბერტ კოსტა

### პირველი წრე

#### კაცები

**ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — ბრაიან ვაალი (აშშ) 6:4, 6:1, 6:7 (6:8), 6:3; **ხუან კარლოს ფერერო** (3, ესპანეთი) — მიხელ კრატოხვილი (შვეიცარია) 7:5, 7:5, 6:4; **სარგის სარგსიანი** (სომხეთი) — ენდი როდიკი (6, აშშ) 6:7 (3:7), 6:1, 6:2, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (8, არგენტინა) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 6:4, 6:3, 3:6, 7:5; **ალბერტ კოსტა** (9, ესპანეთი) — სერხიო როიტმანი (არგენტინა) 6:7 (3:7), 2:6, 7:5, 6:2, 6:2; **სხენგ შალკენი** (12, ჰოლანდია) — სკოტ დრეიპერი (ავსტრალია) 6:2, 6:4, 3:6, 6:4; **სებასტიან გროჟანი** (14, საფრანგეთი) — ადრიან ვოინია (რუმინეთი) 6:4, 7:6 (7:3), 3:6, 6:3; **გუსტავო კუერტენი** (15, ბრაზილია) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:2, 6:7 (3:7), 6:3, 7:6 (7:3); **ფრანკო სკილარი** (არგენტინა) — აგუსტინ კალერი (18, არგენტინა) 7:5, 7:6 (7:2), 6:3; **ფერნანდო გონსალესი** (19, ჩილე) — ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) 6:0, 6:2, 6:3; **ფელიძ მანტია** (20, ესპანეთი) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 6:4, 7:6 (7:4); **გასტონ გაუდიო** (21, არგენტინა) — პოლ-ანრი მათიო (საფრანგეთი) 7:5, 6:3, 6:3; **ტიმ ჰენმანი** (25, ბრიტანეთი) — ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) 6:2, 6:3, 6:1; **ტომი რობრედო** (28, ესპანეთი) — ჯოვანი ლაპენტი (ეკვადორი) 3:6, 7:6 (7:3), 3:6, 3:1 ლაპენტიმ შეწყვიტა; **იარკო ნიემინენი** (30, ფინეთი) — ნიკოლა ესკუდი (საფრანგეთი) 7:6 (7:3), 6:7 (4:7), 6:3, 6:1; **არნო კლემანი** (32, საფრანგეთი) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 6:3, 6:4, 6:2; **ტოდ მარტინი** (აშშ) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 4:6, 6:3, 6:4, 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი) — გრეგ რუზეცკი (ბრიტანეთი) 6:3, 7:5, 6:2; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 7:5, 6:1, 6:1

სამისოდ, რათა არ გამხდარიყო პირველი მეჩოგნე, როლან გაროსზე ტიტულის დაცვა პირველსავე წრეში რომ შეწყვიტა, შარშანდელ ჩემპიონ ალბერტ კოსტას გუშინ სამსაათიანი და 38-წუთიანი მოუქანცველი შეხლის აჩანა მოუხდა.

არადა, უსახელო არგენტინელ სერხიო როიტმანს გუშინდლამდე მხოლოდ ერთი სა-ATP-ო მატჩი მოეგო და წლევანდელი როლანგაროსობაც მისთვის პირველი სლემტურნირი გახლდათ.

მისი მეჯვარის, ალექს კორეხასი არ იყოს, კოსტა წლეულს ძალზედ უნდილად ირჯება და ტიტულის მოპოვებას ვინ ჩივის, ჰესის საღირალი არაფერი მოუგია.

გუშინდელი მატჩის შემდეგ მან ჰალალად აღიარა, რომ ტურნირის მოგებაზე აღარც კი ოცნებობს. „იმითაც ბედნიერი ვარ, რომ აქ მეორე მატჩში მონაწილეობის შანსი მომეცა" — თქვა მან.

ასევე არადამაჯერებლად ითამაშა ამჟრის პირველმეჩოგნე ლეიტონ ჰიუიტმაც. 22 წლის კისკას ოზბაჯს მსოფლიოში რანგით 52-ე ბრაიან ვაალი ერკინებოდა, უსახელო ამერიკელი, ვისაც სლემტურნირებზე ერთი შეხვედრაშიც არ უმარჯვია, ხოლო თიხნარზე საერთოდაც ერთ მოგებას დაიკვეხს.

საქმის მოყომარება ჰიუიტს მესამე სეტშიკე შეეძლო, მაგრამ სამი მატჩბურთი ვერ გამოიყენა და საათნახევრიანი კეჭნაობა სამსაათიან გაწლაგანად გადაიქცია.

„თიხნარზე თამაში მაგრად არ მიხარია, რადგანაც მთელი წლის განმავლობაში ამ საფარზე მხოლოდ ერთ-ორ კვირას თუ გადავირბენ ხოლმე" — ამბობდა მერე ჰიუიტი.

თუმცა პირველი დაბრკოლება გავლილია და გაუტეხელი ავსტრალიელი მეორე წრეში ნიკოლაი დავიდენკოს, წლეულს ადელაიდასა და ეშტორილში წარმატებულ ნიჭიერ რუსს შეეტაკება.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ჰიუიტის საუკეთესო როლანგაროსული მიღწევა მეოთხედფინალში თამაშია. უკანასკნელ რვეულს მან იქ 2001-ში უწია.

სხვაფრივ — გუშინ ენდი როდიკმა სარგის სარგსიანთან წააგო, თორემ სხვა არავითარი მოულოდნელობა არ მომხდარა. ტურნირის ერთ-ერთმა უმთავრესმა ფავორიტმა, შარშანდელმა ფინალისტმა და ორგზის ნახევარფინალისტმა ხუან კარლოს ფერერომაც სეტისწაუგებლად იმარჯვა.

ფერერო წლეულს საუცხოოდ თიხნარობდა, ორი (მონტეკარლოური და ვალენსიური) ტიტულიც მოიმკა, მაგრამ რომაულ მასტერსთიხნარზე მხარი იტკინა და ეჭვი იყო, მოიშუშებდა თუ ვერა ნატკენს პარიზობამდე.

გუშინ გამოჩნდა, რომ — მოუშუშებია.

თუმცა შვეიცარიელი კრატოხვილი ის მეჩოგნე არ არის, ვისი სეტისწაუგებლად ძლევაც მთავარფავორიტს დიდ მიღწევად უნდა ჩაეთვალოს, მაგრამ კოლოდ წოდებულმა ვალენსიელმა ეს ამბავი აუღელვებლად და, რაც მთავარია, დიდი მარაგით გაიმასქნა.

#### ქალები

**კიმ კლაისტერსი** (2, ბელგია) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:2, 6:0; **ვინუს უილიამსი** (3, აშშ) — სამანტა რივზი (აშშ) 6:2, 6:4; **ლინდსი დევენპორტი** (6, აშშ) — უინე პრაკუსია (ინდონეზია) 6:2, 6:0; **ჯენიფერ კაპრიატი** (7, აშშ) — ჯოანეტ კრუგერი (სამხრეთ აფრიკა) 6:2, 6:1; **ელენა დოკიჩი** (10, იუგოსლავია) — ანგელიკა რიოში (გერმანია) 6:4, 6:4; **ნადია პეტროვა** (რუსეთი) — მონიკა სელეში (12, აშშ) 6:4, 6:0; **მარია სანჩეს ლორენსო** (ესპანეთი) — ელენა დემენტიევა (13, რუსეთი) 6:3, 6:3; **მაგდალენა მალეევა** (15, ბულგარეთი) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 6:3, 3:6, 6:1; **კატარინა სრებოტნიკი** (სლოვენია) — ამანდა კუცერი (17, სამხრეთ აფრიკა) 6:2, 4:6, 6:3; **ელენა ბოვინა** (20, რუსეთი) — ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) 6:4, 6:1; **ვერა ზვონარიოვა** (22, რუსეთი) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:1, 6:3; **კონჩიტა მარტინესი** (24, ესპანეთი) — ტატიანა პერებიუნისი (უკრაინა) 6:2, 6:3; **ნატალი დეში** (25, საფრანგეთი) — ლიბუზე პრუსოვა (ჩეხეთი) 6:3, 6:1; **სილვია ფარინა ელია** (26, იტალია) — კონჩიტა მარტინესი გრანადოსი (ესპანეთი) 6:0, 6:4; **პაოლა სუარესი** (30, არგენტინა) — ედინა გალოვიცი (რუმინეთი) 6:1, 6:0; **ფრანჩესკა სკიავონე** (32, იტალია) — იულია შრუფი (გერმანია) 3:6, 6:3, 6:2

განსხვავებით თავის გულისვარდ ლეიტონ ჰიუიტისგან, კიმ კლაისტერსმა გუშინ ისე მოიგო, თავის ფუმფულა სხეულიდან ფიორა ოფლიც არ გამოუშვია.

ვეტერანი ამერიკელი ემი ფრეზერი, ვინაც თავის მეთორმეტე როლან გაროსზე გამოდიოდა, 19 წლის ბელგიელმა 45 წუთში გააცამტვერა.

მატჩის მერე კიმს ჯერ უშხაპუნია, მერე კი ლეიტონის საყურებლად წასულა. ამბობენ, კიმმა იქ უფრო მეტად იოფლიანაო...

ისე კი, კაცთა განყოფილების მსგავსად რაიმე განსაკუთრებული უცნაურობა — რუსი ნადია პეტროვას მიერ მეთორმეტე ნომრად განთესილი მონიკა სელეშის გაპანღურებას თუ არ გავითვალისწინებთ — არც ქალთა მხარეზე მომხდარა.

ბობოლა ამერიკელებმა — დევენპორტმა და კაპრიატიმ უპრობლემებოდ იმარჯვეს, ხოლო ელენა დოკიჩს მათზე მეტხანს ჩოგნაობა კი დასჭირდა, მაგრამ მომდევნო წრეში მაინც კოხტად და რამე-რუმედ გავიდა.

**ლევან ძელაურაძე**



ლეიტონ ჰიუიტი



კიმ კლაისტერსი

## ამბავ-ხაბარი



დედა მარის კლარისა ფერნანდესისნაირი ყმაწვილქალებიც გაუცულუტდნენ

### პირსის მართლა მეცამეტე

ტურნირის 2000 წლის ჩემპიონი მარი პირსი შარშანდლის დარად პარიზში ამ ჯერზეც თამაშნაკლული და ჟანგიანი ჩავიდა.

ჰოდა, რა გასაკვირია, თუკი შარშანდელ ნახევარფინალისტს, წოწოლა არგენტინელ კლარისა ფერნანდესს მის წამოსაქცევად მხოლოდ ორი მსუბუქსეტიანი კეჭნაობა დასჭირდა.

ეს პირსის მეცამეტე როლანგაროსობა იყო და — როგორც სტატისტიკა გვამცნობს — პირველივე წრიდან ის აქამდე არასოდეს ეოტათ.

### აგასიანთ სტატისტიკა-2

რვაგზის სლემტიტულოსანი და როლან გაროსის 1999 წლის ჩემპიონი ანდრე აგასი საქმეში პირველსავე დღეს ჩაერთო. 21 წლის სლოვაკ კაროლ ბეკს მან 95 წუთში გადაუარა (6:2, 6:3, 6:3) და თავისი საროლანგაროსო ბალანსი (13 მარცხის წილ) უკვე 48-ე გამარჯვებით გაიუმჯობესა.

მასზე მეტი შეხვედრა იქ მხოლოდ ბიორნ ბორგს (49-2), ნიკოლა პიეტრანჯელის (50-17), ივან ლენდლსა (53-12) და გილერმო ვილასს (56-17) მოუგიათ.

თუკი 33 წლის არმენოამერიკელი მეორე წრეშიც იმარჯვებს, ჯამში 762 საკარიერო გამარჯვება დაუგროვდება — ზუსტად იმდენი, რამდენსაც ახლა მისი 14-გზის სლემტიტულოსანი თვისტომი, დოსტი და მეტოქე პიტ სამპრასი მოიძევს.

### კორეჩას უკვე აღარ შეუძლია



ალექს კორეჩა

ალექს კორეჩა წლეულს ძალზედ უილაჯოდ თამაშობს. ამიტომაც — მიუხედავად იმისა, რომ როლან გაროსის ფინალში ორჯერ, 1998 და 2001 წლებში უთამაშია — მის საამროლანგაროსო შანსებს ყველა ძალზედ „ისე-რად" აფასებდა.

გამოირკვა, რომ 17-გზის მეტიტულე და ამაგდარი ესპანელი მეჩოგნისთვის „ისე-რა" კიდევ კარგი შეფასება ყოფილა — 24 წლის გალო ბლანკომ ორი წლით უფროსსა და შეუდარებლად სახელიან თვისტომს ოთხსეტიანი ბუქნაობის (5:7, 6:3, 6:0, 7:5) შედეგად აჯობა...



გალო ბლანკო

ბოლო ათი წლის განმავლობაში ეს პირველად მოხდა, რომ ალექს კორეჩამ მის სათულფე სლემტურნირს თავი პირველსავე წრეში დაუკრა. კორეჩა: „მე დასვენება და იმის განსაზღვრა მჭირდება, თუ ცხოვრებაში საერთოდ რა უნდა ვაკეთო. საჩოგბურთო თვალსაზრისით ყველაფერი რიგზეა, მაგრამ მენტალურად უკვე ძალიან მიჭირს — ბრძოლის აღარც თავი მაქვს და აღარც ხალისი... კიდევ კარგი, რომ აქაურობის მუღამი ჯერ არ გამნელებია, თორემ ბოლო სეტს სულაც 0:6 წავაგებდი."

### ჩემპიონები-2

პირსის გარდა ქალთა თავდაპირველ ცხაურში როლან გაროსის კიდევ ოთხი ჩემპიონის სახელს და გვარს ამოიკითხავდით.

ესენი — მონიკა სელეში (1990-92), ივა მაიოლი (1997), ჯენიფერ კაპრიატი (2001) და — რაღა თქმა უნდა — შარშან ნაპირველარი სერენა უილიამსი არიან.

ამათგან სერენამ და მაიოლიმ პირველ დღეს ითამაშეს და თუკი ბაყბაყვლევმა გერმანელ რიტნერს გადაურბინა 6:1, 6:1, შებერებული ხორვატი კორეელ იონძონგს მოერია 4:6, 7:5, 6:0.

### რვაგეიმიანი რიოსი

თუკი ვინმეზე უნდა ითქვას, რომ ტალანტის გაფურჩქვნა ვერ მოახერხა, ეგ უპირველესად მარსელო რიოსი, მსოფლიოს ოდინდელი მეპირველე გახლავთ.

მყრალი ხასიათი იქით იყოს და, უნიჭიერესი ჩილელი ფიზიკურადაც საკმაოდ მყიფე კაცია. ვინ მოთვლის, ამა თუ იმ ტრავმის გამო რამდენი მნიშვნელოვანი ტურნირი გაუცდენია, რამდენი კი შუაგზაზე მიუგდია.



მარსელო რიოსი

წლევანდელ როლან გაროსზე მან მხოლოდ რვა გეიმი გაძლო. მერე კი მუშა მხარ-მკლავი მოისატკივრა და მეტოქეს გამარჯვება მიულოცა.

არადა, შანსი გვქონდა, უკვე მეორე წრეშივე ერთობ სახელიანი მატჩი გვეხილა — მოგების შემთხვევაში რიოსს აგასისთან უნდა ეპაექრა.

მის სანაცვლოდ ანდრეს ახლა ხორვატი მარიო ანჩიჩის ასო-ასოდ აქნა მოუწევს...

მხარი კი რიოსს წინა კვირაში უტკენია, როცა მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე ჩილელ თანანაკრებელებთან ერთად დიუსელდორფში ირჯებოდა.

## სტენლის თასი ფინალი

## ნიუ ჯერსი VS ანაჰაიმი

ურთიერთშეხვედრები ამ სეზონში: 3:2 (ოვერტაიმი) და 3:1 ნიუ ჯერსის სასარგებლოდ

პლეი ოფში პირველად ხვდებიან

**მიღწევები:** თასის ორგზის მფლობელი (1995, 2000)

**ლიდერები**

**მეკარე:** მარტინ ბროდო (93,7% დარტყმების მოგერიება, 1,62 გაშვებული შაიბა საშუალოდ ერთ მატჩში)

**მცველები:** სკოტ სტივენსი (3+4), ბრაიან რაფალსკი (2+6), სკოტ ნიდერმაიერი (2+11)

**ფორვარდები:** ჯეიმი ლანგენბრუნერი (9+6), ჯონ მედენი (6+9), ჯეფ ფრიზენი (5+4), ჯეი პანდოლფო (4+5), ჯო ნუინდაიკი (3+6)

**მიღწევები:** თასის ფინალისტი (2003)

**ლიდერები**

**მეკარე:** ჟან სებასტიან ჟიგერი (96,0% დარტყმების მოგერიება, 1,22 საშუალოდ ერთ მატჩში გაშვებული)

**მცველები:** სანდის ოზოლინში (1+4), კეინ კარნი (0+4)

**ფორვარდები:** პოლ კარია (5+3), ადამ ოუთსსი (4+6), სტივ რუჩინი (4+3), მაიკ ლეკლერკი (2+8), რობ ნიდერმაიერი (3+5), პეტერ სიკორა (2+6)

# სიუჟეტი მულტფილმისთვის: ეშმაკი იხვი ეშმაკის წინააღმდეგ



ჟან სებასტიან ჟიგერი



მარტინ ბროდო



სკოტ და რობ ნიდერმაიერები

ესოდენ მსგავსნი ფინალში პირველად გავიდნენ, ამგვარი რამ, ამერიკელი სპეციალისტების თქმით, ლიგის ისტორიას არ ახსოვს. „SPORTS ILLUSTRATED"-ის ექსპერტი დარენ ელიოტი ფიქრობს, რომ ამ მეტოქეებს მხოლოდ ორი რამ განასხვავებს: ერთი ის, რომ ანაჰაიმის ფინალში მოხვედრა დიდ სენსაციად აღიქმება, ნიუ ჯერსი კი თავიდანვე აღმოსავლეთის ფავორიტად ითვლებოდა; მეორე სხვაობა თავად გუნდების ემბლემებიდან გამომდინარეობს. ერთი მხრივ, პირქუში „ეშმაკი" და მისი იდუმალი მზადება მეტოქის მოსაჯადოებლად და მეორე მხრივ, მხიარული, გულღია იხვი, უოლტ დისნეის სახელგანთქმული მულტფილმის გმირი. გუნდის მფლობელებმა სწორედ ამ გონივრულად შერჩეული თილისმის წყალობით დაიმსახურეს სამხრეთის პატარა ქალაქის ქომაგების სიყვარული.

...სხვა ყველაფერი კი ტყუპებივით ერთნაირი აქვთ. ორივე მწვრთნელისთვის პირველი სეზონია ამ გუნდებში, ერთსა და იმავე ქალაქში, მონრეალში დაბადებული საუცხოო მეკარეები ჰყავთ და, რაც მთავარია, ერთნაირი სათამაშო ტაქტიკა — განსაკუთრებული აქცენტი დაცვაზე და მეტოქეების შეცდომების უეჭველი გამოყენება. ნიუ ჯერსის ბოლო წლებში სწორედ ამ სტილმა მოუტანა წარმატება და „იხვებმაც" ნათელი მაგალითი აჩვენეს იმისა, თუ როგორ შეიძლება თასის მოგება სუპერვარსკვლავების გარეშე. სხვათა შორის, ანაჰაიმის თავკაცი მაიკ ბებკოვი არ მალავს, რომ თავის დროზე სწორედ ნიუ ჯერსის თამაში იყო მისთვის სამაგალითო და გუნდიც მის ყაიდაზე ააწყო. ისიც ნიშანდობლივია, რომ პლეი ოფში ყველაზე შედეგიანი ორივე გუნდში ის სამეულებია, რომლებსაც... მეტოქის ლიდერების გაუვნებლება ევალებათ. ეს გუნდების დაცვით ორიენტაციაზე მეტყველებს. ასე რომ, ერთმანეთის პირისპირ ორი უაღრესად ორგანიზებული, დისციპლინიანი და მომთმენი გუნდი წარდგება. თუმც ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მატჩი მინიმალური ანგარიშით დასრულდება და ისიც მე-5 ან მე-6 ოვერტაიმში. ორივე გუნდმა უკვე დაამტკიცა, რომ საჭირო შემთხვევაში „შებერვაც" ძალუძს და ლამაზი შეტევებიც ეხერხებათ. ეს ალბათ უფრო ნიუ ჯერსიზე ითქმის, რომელიც ოტავასთან ეს-ესაა დასრულებულ სერიაში თვალსასეიროდ ხშირად თამაშობდა. სამაგიეროდ, ანაჰაიმმა გვარიანად დაისვენა და მშვიდად მოემზადა ფინალისთვის.

ძალიან დაძაბული და ამოუცნობი სერია გველის, რომელშიც თითოეულ რიკოშეტსაც კი დიდი მნიშვნელობა ექნება. ერთი, რაც დანამდვილებით ვიცით, არის ის, რომ ნიდერმაიერების ოჯახი აუცილებლად იზეიმებს — ძმებიდან უფროსი, სკოტი, ნიუჯერსელია, თასის ორგზის მფლობელი უმცროსი, რობი კი „იხვია" და ფინალში მეორედ თამაშობს.

**სამველ ღარიბიანი**



# პირველნი! ბიძინა და სოფო

ევერესტისკენ სამხრეთის გზაზე, 4000 მეტრამდე სიმაღლეზე მდებარე სოფელ პენგბოჩეს თავსწამომდგარი პიკი ამადაბლამი (6856 მ) დედამიწის უმაღლესი მწვერვალის ჩრდილქვეშ კია მოქცეული, მაგრამ სილამაზით ამ ბუმბერაზზე აღმატებული გახლავთ. ამიტომაც ევერესტის გზაზე დამდგარ მთამსვლელებს ამადაბლამი მუდამ მზერას წყვეტს და თავისკენ იხმობს, მაგრამ ალპინისტები მისთვის იშვიათად იცლიან.

ქართველ მთამსვლელთაგან პირველი, ვინც საამადაბლამოდ მოიცალა, გია თორთლაძე იყო, რომელმაც ეს მწვერვალი რუსებთან ერთად ამ რვა წლის წინათ დალაშქრა. ამადაბლამმა 1999 წელს ევერესტზე ასულ ბენო ქაშაკაშვილსა და აფი გიგანსაც მოსწყვიტა თვალი, მაგრამ მაშინ ბევრ სხვათა მსგავსად ვერც მათ მოიცალეს ჰიმალაური მასშტაბებით ამ ჩია მწვერვალისთვის. და აი, ახლა, როცა დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე პირველასვლის 50- წლოვანი იუბილეს აღსანიშნავად მის ფერდობებსა და მისადგომებს სხვადასხვა მიზნით მრავალი მთამსვლელი ესტუმრა, საერთო ფეხის ხმას ბენო ქაშკაშვილი და აფი გიგანიც აჰყვნენ, როგორც ევერესტზე ამსვლელნი. მათ შეიამხანაგეს მთასავით გამოცდილი ძველი თანაგუნდელი გელა ოთარაშვილი და ერთიც თბილისელი გოგო სოფო თვარაძე, რომელზეც ახალბედა უფრო ითქმის.

22 წლის სოფო თვარაძეს ამ ზამთარს დაულაშქრავს მყინვარწვერი, მანამდე კი ჭაუხების მასივზე საშუალო სირთულის კლდოვანი მარშრუტი გაუვლია. ახლა სოფო და ძმანი მისნი ნეპალს ევერესტის საიუბილეოდ და საგანგებოდ ამადაბლამზე ასასვლელად ეწვივნენ. ეწვივნენ და 22 მაისს მიზანსაც მიაღწიეს! ამგვარად, სოფო თვარაძე გახდა პირველი ქართველი მთამსვლელი ქალი, რომელმაც ჰიმალაის ერთ-ერთი მწვერვალი დალაშქრა.

აქვე კიდევ ერთი ქართული პირველობის ამბავსაც მოგაწვდით — ბიძინა გუჯაბიძემ 26 მაისს ჩრდილოეთის მხრიდან დალაშქრა ევერესტი და გახდა პირველი ქართველი, რომელიც დედამიწის კენწეროზე ორივე ფერდობიდან ასულა.

**ავთანდილ ტყვიშელი**



მომხიბლავი ამადაბლამი



ჯირო დიტალია 10 მაისი - 1 ივნისი



ეს-ესაა, ალესანდრო პეტაჩიმ ჯიროს მე-5 ეტაპი მოიგო

REUTERS

# პეტაჩის პენტა

## გადაიხადე 150 დოლარი და იგინე რამდენიც გინდა

**მე-16 ეტაპის** დასრულებისთანავე უსახელო ავსტრიელი მრბოლი ვერნერ რიებენბაუერი ჯიროს ტექნიკურმა კომიტეტმა 150 დოლარით დააჯარიმა, რადგან მან ტურის მომსახურე ტექპერსონალს აგინა.

რიებენბაუერი ფინიშამდე 40 კილომეტრით ადრე ხიდიდან ატალახებულ თხრილში გადავარდა, იქიდან ამსგანგლული ამოვიდა და ნერვებაწეწილი თავისი ველოს შეკეთებას დაელოდა. რიებენბაუერის ორთვალას, ცხადია, მისი გუნდის მექანიკოსები დასტრიალებდნენ, მაგრამ მათი დახმარება ჯიროს ტექპერსონალმაც გადაწყვიტა და... მადლობის მაგივრად გინება მიიღო.

რიებენბაურმა რბოლა განაგრძო და ფინიშთან 22-კაციან ლიდერთა ჯგუფთან ერთად მივიდა, ჯიროს ტექნიკურმა კომიტეტმა კი იქ ფულადი ჯარიმა დააკისრა. როგორც თავად მაგინებელმა განაცხადა, რბოლის პერსონალი მისი გუნდის დახმარებას კი არა, პირიქით, ხელის შეშლას ლამობდა და ამიტომაც ელაპარაკა მათ ასე „ტკბილად".

ასე თუ ისე, 150 მწვანე რიებენბაურის ჯიბეს ვინძლო სულაც არ დაეტყოს, მაგრამ ჯიროს ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ თუ ამიერიდან მრბოლის ჯანმრთელობას საფრთხე არ შექმნა, ტექმომსახურება საქმეში აღარ ჩაერევა.

207-კილომეტრიანი ეტაპი კი, რომლის გზაზეც გარდას ტბის ულამაზესი მონაკვეთი იყო გასავლელი, იტალიელმა ალესანდრო პეტაჩიმ მოიგო. წლევანდელ ჯიროზე პეტაჩისთვის ეს მე-5 მოგებული ეტაპია.

იტალიელის კვალდაკვალ ფინიშთან მივიდნენ ფრანგი ჯიმი კასპერი და ჩეხი იან სვორადა.

მე-16 ეტაპის შემდეგ საერთო ჩათვლის პირველი სამეული არ შეცვლილა.

ჩათვლას ისევ იტალიელი ჯილბერტო სიმონი ლიდერობს, რომელსაც სოლიდური სხვაობით ჩამორჩებიან მისი თანამემამულე სტეფანო გარძელი და უკრაინელი იაროსლავ პოპოვიჩი.

**ბაჩო სვანიძე**

**ტექნიკური შედეგები**

**XVI ეტაპი. 26 მაისი**

**არკო დი ტრენტო — პავია 207კმ**

1 ალესანდრო პეტაჩი (იტალია, ფასა ბორტოლო) 4 სთ 39 წთ 34 წმ
2 ჯიმი კასპერი (საფრანგეთი, FDJEUX.COM) იგივე დრო
3 იან სვორადა (ჩეხეთი, ლამპრე) იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1 ჯილბერტო სიმონი (იტალია, საეკო) 71 სთ 21 წთ 26 წმ
2 სტეფანო გარძელი (იტალია, ვინი კალდიროლა) +1 წთ 58 წმ
3 იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა, ლენდბუვკრედიტი) +4 წთ 5 წმ



## საქართველოს მე-13 ჩემპიონატი

# ძალა ახალგაზრდობაშია

## როდემდე გაძლებენ უმსაჯებოდ?!



მამულელმა გიორგი წივწივაძემ ქუთაისელებს 15-ჯერ გაუტანა

**ვაჟ ხელბურთელთა** მე-13 ეროვნული ჩემპიონატის გუშინდელმა, მეორე ტურმა შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა. მცირე გართულებები მატჩების მსვლელობისას კი იყო, მაგრამ საქართველოს პირველობა უმსაჯოდ სად გაგონილა. კვლავ ხანდაზმული სამძებარნი არიან მსაჯები, რის გამოც, უკვე მერამდენედ, მოედანზე გასვლა მოუწია მთავარ მსაჯსაც და ერთი-ორ მწვრთნელ-მოთამაშესაც.

ქვეყნის უცვლელმა ჩემპიონმა „სტუ-შევარდენმა" უმცროსი თავისიანები დაჯაბნა. აღსანიშნავია, რომ ტექნიკოსთა შემადგენლობა თითქმის ორი მესამედით განახლებულა, ახალი თაობა მოვიდა მათივე სათადარიგო გუნდიდან. ჩემპიონთა ღირსებას საღდეისოდ ძირითადად 18-20 წლის ჭაბუკები იცავენ, ყველაზე ასაკოვანი კი 25 წლისაა. შევარდენთა მთავარმა მეგოლემ, ოცი წლის რევაზ ჭანტურიამ გუშინ მართალია მხოლოდ შვიდი ზუსტი ტყორცნა მიითვალა, მაგრამ ორ თამაშში უკვე ოცი დაუგროვდა და სნაიპერთა პირველ სამეულშია.

სხვა ორ შეხვედრაში დაძაბული და ემოციური ბრძოლა გაჩაღდა. ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სპორტსკოლის „მართვე", ყველასთვის მოულოდნელად, ბოლომდე ტოლ-სწორად ებრძოდა შარშანდელ ვიცე-ჩემპიონ „თბილისს". ბევრად გამოცდილი თბილისელები მეათე წუთისთვის საგრძნობლად გაიჭრნენ წინ — 7:2, მაგრამ მართვეებმა დროულად აღებული წუთ-შესვენებით გარდატეხა შეიტანეს თამაშში და ტაიმიც ფრედ დასრულდა — 16:16. შესვენების შემდეგ კვლავ ვერცხლის პრიზიორები დაწინაურდნენ და თუმც სპორტსკოლელებმა ბოლოსწინა წუთზე მინიმუმამდე შეამცირეს ჩამორჩენა, მეორედ ანგარიშის გათანაბრება ველარ მოახერხეს.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამულისა" და „ქუთაისის" შეხვედრაში ფავორიტად პირველი ითვლებოდა. ქუთათურები მათ ქალაქში არასახარბიელო პირობების გამო მხოლოდ მესამედ მონაწილეობენ ეროვნულ ჩემპიონატში. ცხადია, ძალიანაც სასიამოვნოა ახალი, საინტერესო გუნდის გამოჩენა. იმედია, „ქუთაისი" ერთი სეზონის კლუბი არ იქნება და მომავალში საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლასაც შეძლებს. მით უფრო, რომ ამის წინაპირობა ნამდვილად არსებობს: ხუთი მოთამაშე შარშანდელ ბრინჯაოს მედალოსან „გლდანში" გამოდიოდა, ოსტატობაც აიმაღლეს და გამოცდილებაც შეიძინეს. წლეულს მათ ვეტერანი ქუთათურები ალეკო ბოყოჩაძე და ზვიად შათირიშვილი შეუერთდნენ. „მამულთან" მატჩშიც ამინდს ძირითადად ისინი ქმნიდნენ, თავიდან ბოლომდე შეუცვლელად ითამაშეს და შესაბამისად 17 და 10 გოლი გაიტანეს, მაგრამ სოლისტთა მონდომებას მეტოქის კოლექტიურმა თამაშმა აჯობა. ქებას ყველა მამულელი იმსახურებს, მაგრამ მაინც გამორჩეულად უნდა აღინიშნოს 21 წლის გიორგი წივწივაძე. არა მხოლოდ იმიტომ, რომ 15 გოლი მიითვალა, იმიტომაც, რომ გუნდისთვის კრიტიკულ ვითარებაში ძირითადად სწორედ მისმა აქტიურობამ გადაწყვიტა შეხვედრის ბედი.

**გია ახალაძე**

**27 მაისი**

თბილისი 32:31 მართვე

საუ-მამული 43:39 ქუთაისი

სტუ-შევარდენი 39:16 სტუ-2

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 2 | 0 | 0 | 83:38 | 4 |
| საუ-მამული | 2 | 0 | 0 | 75:60 | 4 |
| თბილისი | 2 | 0 | 0 | 65:63 | 4 |
| ქუთაისი | 0 | 0 | 2 | 71:76 | 0 |
| მართვე | 0 | 0 | 2 | 53:76 | 0 |
| სტუ-2 | 0 | 0 | 2 | 37:71 | 0 |

# იანქური ინდი-მინდი

ინდიანაპოლისში ჩვეული ამერიკული ხმაურობით ჩაიარა „ინდიანაპოლის-500-ის" რბოლების სეზონის გახსნამ. 87-ე სეზონის მრავალ ცნობილ სტუმარს შორის იყვნენ კრივის ლეგენდა მუჰამედ ალი და ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუშ უფროსი, რომელიც ინდის ვოგოებსაც წაეხუმრა. შეჯახებების გარეშე კი, ცხადია, არ გამოვიდა: მესამე წრის ბოლოს ლენ ველდონის მანქანა ატრიალდა და ტრიალ-ტრიალით გადავარდა გზიდან. მძღოლი უვნებელი გადარჩა.




REUTERS ინდიანაპოლისიდან





# აი, შლაგერი!

ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონი! ასე ხარობს ავსტრიელი ვერნერ შლაგერი შუა პარიზში, სადაც მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა. შლაგერმა კაცთა ფინალში კორეელი სე ჰიუკ ჟო დაამარცხა.



REUTERS პარიზიდან




REUTERS ბელგრადიდან

# ბერძნული რომაული

ბერძნულ-რომაული ჭიდაობის „სიუჟეტი" ასეთია: ბელარუსი ედუარდ აპლევიჩი ფინელ იუჰა ოლავი ლაჰალაინენს ატრიალებს. ევროპის ჩემპიონატი სერბია-მონტენეგროს დედაქალაქ ბელგრადში მოეწყო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ჯამბაძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კულაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგუაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ლევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge